ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 29 იანვარი 1999 №14 (787) | ფასი 50 თეთრი


2

## დიდების ზღაპარი: სანაძლეოდან გაქცევა

რას უჩივის ბობი რობსონი გოგა გახოკიძეს?

6

## დღეს ბორდოში:

BORDEAUX VS MARSEILLE

პრეზიდენტგარდაცვლილი ბორდოელები საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერის „მარსელის“ ტახტიდან ჩამოგდებას შეეცდებიან



9

## ჩვენი ბედი „მიზუნოსა“ და კოჯი ოსავას მარიფათზე ჰკიდია

იაპონელები საქართველოში ძიუდოს განსავითარებლად 500 000 დოლარს გვპირდებიან





ლინდსი დევენპორტის ძლევით გახარებული ამელი მორესმო

# ვინ არის ეს კაცი?

რამდენჯერმე ისიც ვიფიქრე, კაცს ვეთამაშები-მეთქი — თქვა ამელი მორესმოსგან ძლეულმა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ლინდსი დევენპორტმა

იხილეთ მეათე გვერდი

EURO 2000
ჩვენი ჯგუფი



# საქართველო ძალიან ძარბი გუნდია, სლოვენია კი შნაძლო

ამბობს ჩვენი ნაკრების უახლოესი მეტოქის მწვრთნელი

## სრეჩკო კატანეცი

რომელთანაც ექსკლუზიურ ინტერვიუს ხვალინდელ „სარბიელში“ იხილავთ

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

# პირველი ჯგუფი. პირველი წრე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვანე ჯვრის ორდენი

ნათქვამია, კარგად დაწყება საქმის ნახევარიაო, „ვიტ ჯორჯიამ“ სწორედ ასე დაიწყო. ხუმრობაა, პირველივე ტურში ბათუმიდან სამი ქულა წაიღო, „არსენალს“ სტუმრადვე ქულა აართვა, საშინაო სეზონის სტარტზე კი წინა ტურებში ზუგდიდში „ოდიშისა“ და სამტრედიაში „ბათუმის“ მძლეველი „იბერია“ გაანადგურო.

პირველ სამ ტურში 7 ქულა და ბურთების სხვაობა 5:1 ურიგო არაფრითაა. თანაც, თუ ასეთი შედეგით გათამაშების ცხრილის პირველ საფეხურზე წინა წელს გავარდნას ძლივს გადარჩენილი გუნდი აღმოჩნდება.

მაგრამ ხომ გაგიგიათ, ფარა რომ შემობრუნდება, კოჭლი ცხვარი თავში მოექცევაო. ვიტელთა კოჭლობისა რა გითხრათ, თუმცა ასე კი მოხდა. „ბათუმის“, „კოლხეთის“, „მერანის“ და „ლოკომოტივის“ სუსტმა სტარტმა მეათეში მეცხრე ტურის აუტსაიდერი გაალიდერა. ასე კი იყო, მაგრამ პირველი წრის მიწურულს ქართული საფეხბურთო ქარავანი ერთხელაც რომ შემობრუნდა, „ვიტ ჯორჯია“ ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდა. თუმცა ეს შედეგი უფრო სუბიექტურმა მიზეზებმა განაპირობა — კერძოდ, ვიტელთათვის სამი ქულის ჩამოკლებამ.

თუმცა აქამდე კარგ სტარტსმოყოლილი პირველი წარუმატებლობა იყო. „ვიტ ჯორჯიამ“ მეოთხე ტურში წაიფორხილა.

— მენთეშაშვილმა ბრძოლაში გვარიანად აჯანჯღარა როინ მარლიშვილი და ამ უკანასკნელის მაისური მუშკეტერების ცნობილ, გვერდებზე ჩახსნილ მოსასხამს დაემსგავსა. ეტყობა, ამ ეპიზოდმა მარლიშვილზე გარკვეული როლი ითამაშა. შეხვედრის მეორე ნახევარში მის მოსასხამს, ჯვრის ნაცვლად 7 ნომერი რომ ამშვენებდა, მოედნის ყველა კიდეში დაინახავდით. როინი მშვენივრად ანაწილებდა პასებს და დიდი მონდომებით ხელმძღვანელობდა თანაგუნდელთა შეტევებს, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მეორე ნახევარში „ლოკომოტივმა“ დიდი უპირატესობის მოპოვება შეძლო და ფაქტობრივად საკუთარ კარს მიაჯაჭვა მოწინაალმდეგე — წაიკითხავდით 1 სექტემბრის „სარბიელში“.

„ვიტ ჯორჯიამ“ გასვლითი მატჩი საკუთარ მოედანზე („ლოკომოტივიც“ ხომ მცხეთაში თამაშობდა) 0:1 წააგო. ის ერთადერთი გოლი ვიტელთა მეკარე სერგო ჭურაძეს თერთმეტმეტრიანი ნიშნულიდან როინ მარლიშვილმა გაუტანა. გაუტანა და დაიწყო...

„ლოკომოტივთან“ წაგება იყო და „ვიტ ჯორჯია“ ჯერ „ტორპედოსთან“ დამარცხდა, მერე — „გურიასთან“ და „დილასთან“: სწორედ ამ წაგებებს შეეწირა გუნდის თავკაცი სპარტაკ არჩვაძე რომელმაც მოგვიანებით ასევე უმწვრთნელოდ დარჩენილ ბოლნისის „სიონს“ მიაშურა.

„ტორპედოსთან“ არჩვაძეცა და „ვიტ ჯორჯიაც“ დათარსულებს ჰგავდნენ. ქუთაისელები თბილისელებს ნამდვილი სასწაულით გადაურჩნენ. იმერლებმა ორიდან ორივე საგოლე მომენტი გამოიყენეს, ვიტელებმა კი ბევრად მეტიდან ვერც ერთი. ეს კი არა, „ვიტ ჯორჯიამ“ რიცხობრივი უპირატესობა და მასთან ერთადვე მოპოვებული პენალტიც ვერ გამოიყენა. თერთმეტმეტრიანი დარტყმა დავით ასლანაძემ უკუაგდო, სამაგიეროდ, ოთხ წუთში მასპინძლებს მშვენიერი ძლევნი მიართვა, საჯარიმოდან გიორგი ჭანკოტაძის მშვენივრად დარტყმული ბურთი ილლიაში გაუძვრა.

ამის შემდეგაც თბილისელებს არაერთხელ უნდა გაეტანათ, მაგრამ იღბალმა ზურგი აქციათ. ასე იყო „დილასთანაც“, ლანჩხუთში კი „ვიტ ჯორჯია“ პირწმინდად დამარცხდა.

ვეტერინარებს ახალი თავკაცის, ჯემალ მახარაშვილის მიწვევამ და წყალტუბოში დახვედრილმა არეულობამ უშველა, უხელფასო „სამგურალი“ სტუმრებს შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდა, თანაც გაფრთხილებებმოჭარბებული თუ ჯანმრთელობაშესუსტებული მცველებიც აკლდა.

„ვიტ ჯორჯიამ“ ისე ლაღად, ტაქტიკურად გამართულად ეთამაშა „სამგურალს“, შანსიც არ დაუტოვა.

ამ მატჩში შემტევი ნახევარმცველი დავით პეტრიაშილი და ცენტრალური მცველი გიორგი ჭანკოტაძე გამოირჩნენ, განმაკუთრებით ეს უკანასკნელი, ერთ მომენტში საკუთარი ნახევრიდან წამოწყებული იერიშით და სოლო გოლით. ამათ რომ ვამბობთ, იქაც ვასილ მაიუსურაძე და ზურაბ მენთეშაშვილი იგულისხმებიან — არ ყოფილა მატჩი, მათ რომ ჩავარდნოდეთ.

და მაინც, მომდევნო შეხვედრა „დინამოსთან“ „ვიტ ჯორჯიამ“ 0:2 წააგო. ვეტერინარებს ჯალათად მიხეილ აშვეთია მოევლინათ — ორივე გოლი თავად გაიტანა.

„ვიტ ჯორჯია“ აქაც წაფორხილდა — „მერანთან“ სტუმრად მოპოვებული უგოლო ქულა სამმაგად ზღო. ფეხბურთის ფედერაციამ მათი და ახალგაზრდული ნაკრების მცველი გიორგი ჭანკოტაძე ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, თანაც მსაჯთან ტლინკაობისთვის. გუნდს კი დებულებით გათვალისწინებული სამი ქულა ჩამოერთვა და ცხრილის შუაწელიდან ფსკერისკენ დაეშვა.

ეს ვიტჯორჯიელთათვის მეორე გარდამტეხი მატჩი აღმოჩნდა. გუნდმა სული ველარ ამოითქვა — „მერანის“ მერე „გორდას“ 2:1 კი მოუგო, მაგრამ ბოლნისში, თსუ-სთან საზიარო „არმაზზე“ და ფოთში ზედიზედ დამარცხდა. ეს იყო, ვიტელებმა ბოლო მატჩში 1:0 „ოდიშს“ ძლიეს, რითაც ოდნავ მაინც გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა და პირველი წრე მაჟორულ ნოტაზე დაასრულეს.

ამას ისიც დაერთო, რაც „ვიტ ჯორჯიას“ იმედიან გაზაფხულს უქადის — ვეტერინარებმა თასის გათამაშების მეოთხედფინალში გააღწიეს, სადაც „სამგურალი“ ელით. თუ წყალტუბოელებს სძლიეს, ნახევარფინალსაც უწევენ და იქიდან ფინალამდე რაღა, ერთი ნაბიჯია.

„ვიტ ჯორჯიას“ სამი-ოთხი მატჩი ვინც ნახა, ალბათ, ყველა დამეთანხმება, ამ გუნდს, პირველ წრეში მიღწეულზე ბევრად მეტი შეუძლია. ჩვენს ჩემპიონატში ასე მოწესრიგებული, მონდომებული და ახალგაზრდული გუნდი ბევრი როდია. ვიტელებს პრეზიდენტიც უნარიანი ჰყავთ — გურამ რუხაძე კლუბს ამერიკელი პარტნიორების დახმარებით, იმედია, არ გაუჭირვებს.

მწვრთნელიც ახალგაზრდა, მაგრამ საკმარისად მცოდნე და გამოცდილი ჰყავთ ვიტელებს. ჩავთვალოთ, რომ ეს სეზონის მეოთხედი ჯემალ მახარაშვილისთვის გაცნობისა იყო და მეორე წრეში ჩემპიონატსა თუ თასზე გუნდს მეტს შეაძლებინებს.

ღვთის მადლით, ვიტელებს ჯერ სენი რამ არ შეჰყრიათ და თუ მაინც მკურნალობა დასჭირდათ, მათს „მწვანე აფთიაქში“ საამისო რეცეპტიც უნდა მოიძებნოს.

**ვახტანგ ბზიკაძე**



ვიტელთა დამრტყმელ ძალას ვლადიმერ გოჩაშვილს (№10) და გრიგოლ გვაზავას წლეულს მეტი სიზუსტე მართებთ

## ვიტ ჯორჯიას შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი | 1:0 | სტუმრად |
| 2 | არსენალი | 0:0 | სტუმრად |
| 3 | იბერია | 4:1 | შინ |
| 4 | ლოკომოტივი | 0:1 | სტუმრად |
| 5 | ტორპედო | 1:2 | შინ |
| 6 | გურია | 0:2 | სტუმრად |
| 7 | დილა | 1:2 | შინ |
| 8 | სამგურალი | 3:1 | სტუმრად |
| 9 | დინამო | 0:2 | შინ |
| 10 | მერანი | 0:0 | სტუმრად |
| 11 | გორდა | 2:1 | შინ |
| 12 | სიონი | 1:2 | სტუმრად |
| 13 | თსუ | 0:1 | შინ |
| 14 | კოლხეთი | 1:2 | სტუმრად |
| 15 | ოდიში | 1:0 | შინ |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ჯაბა მუჯირი | 15 | 0 | 1 | 0 |
| ლაშა ნოზაძე | 15 | 4 | 0 | 0 |
| სერგო ჭურაძე | 15 | -17 | 1 | 0 |
| ვასილ მაისურაძე | 14 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | 14 | 1 | 3 | 1 |
| ზვიად გვაზავა | 13 | 1 | 2 | 0 |
| გრიგოლ გვაზავა | 13 | 4 | 4 | 0 |
| ვლადიმერ გოჩაშვილი | 13 | 2 | 1 | 0 |
| დიმიტრი აბაზაძე | 12 | 0 | 3 | 0 |
| ირაკლი კაპანაძე | 11 | 0 | 2 | 0 |
| გიორგი ჭანკოტაძე | 10 | 2 | 1 | 1 |
| თამაზ ბოკერია | 9 | 0 | 0 | 0 |
| არჩილ ბოკერია | 8 | 0 | 0 | 0 |
| დავით დოლიძე | 8 | 0 | 1 | 0 |
| მიხეილ მაზიაშვილი | 6 | 1 | 1 | 0 |
| დავით პეტრიაშვილი | 6 | 0 | 1 | 0 |
| იგორ ქოხონელიძე | 6 | 0 | 0 | 0 |
| ლევან კვიციანი | 5 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ლაშხაშიძე | 5 | 0 | 0 | 0 |
| კახა დვალიშვილი | 4 | 0 | 0 | 0 |
| ვლადიმერ ქუთათელაძე | 3 | 0 | 1 | 0 |
| ნუგზარ ქნუქიძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| კონსტანტინე გუგუნავა | 1 | 0 | 0 | 0 |

თ-თამაში; გ-გოლი;
ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი




## 15 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | 39 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | 35 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 34:25 | 27 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 9 | 0 | 18:6 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | 24 |
| დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 22 |
| იბერია | 15 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| მერანი | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | 17 |
| ოდიში | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | 14 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | 14 |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | 13 |
| გურია | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

## ქაილია ამაღ ნაოძი

*დინამო:* გამარჯობა, ბატონო ბონა!
*ვიტ ჯორჯია:* ბონა არა ნიკოლოზი.
*დინამო:* ვარდენის სასიძო?
*ვიტ ჯორჯია:* შენ რა გვახარიასავით მელაპარაკები?
*დინამო:* პრეზიდენტი უნდა მასესხო.
*ვიტ ჯორჯია:* რომელი?
*დინამო:* ბორისი.
*ვიტ ჯორჯია:* ეგ რუსეთის პრეზიდენტია.
*დინამო:* ხურ[illegible] გეუბნები.
*ვიტ ჯორჯ[illegible]:* ხურგინი პრეზიდენტი კი არა, ჩემი მფარველია.
*დინამო:* ესე იგი კრიშა.
*ვიტ ჯორჯია:* კრიშები შენსკენ მოიკითხე.
*დინამო:* რა დღეში ხარ, აფთიაქარო.
*ვიტ ჯორჯია:* ასპირინის „ბაიერი“ არ დაგავიწყდეს...
*თსუ:* ჩემი ძმა, წამალი გაქვს?
*ვიტ ჯორჯია:* წადი, შვილო, წიგნი წაიკითხე.
*თსუ:* მე შევარდენის შვილი ვარ, გაიგე!
*ვიტ ჯორჯია:* პოდა, ნავთლუღში იფრინე...
*ტორპედო:* ალო! სალამი, ეფენდი!
*ვიტ ჯორჯია:* შენთვის კარგი ამბავი მაქვს.
*ტორპედო:* გისმენ.
*ვიტ ჯორჯია:* ჩემპიონს მოვუგე.
*ტორპედო:* მე „ფენდიქსფორს“ ვეთამაშე.
*ვიტ ჯორჯია:* რამდენი გადაიხადე?
*ტორპედო:* აქეთ მომცეს 200 დოლარი.
*ვიტ ჯორჯია:* აბა, ბლომად იშოვნი.
*ტორპედო:* „ბორუსიასთვის“ ვაგროვებ...
*დინამო:* რაო, იმ ვაჟბატონმა?
*ვიტ ჯორჯია:* „ბეშიქთაშისთვის“ მოუგია 8:0.
*დინამო:* გამისკდა თავი ამდენი ფიქრისგან.
*ვიტ ჯორჯია:* ა, ციტრამონი დალიე.
*იბერია:* გაიგე ახალი ტრანსფერი?
*ვიტ ჯორჯია:* რომელი?
*იბერია:* ნემსაძე კალიებს დაუსხლტა და...
*ვიტ ჯორჯია:* ნაკრების კაპიტანი? გაგახარებს ღმერთი!
*იბერია:* „რეჯანაში“ წავიდა?...
*ვიტ ჯორჯია:* სად?!
*იბერია:* სერია B არ გაგიგია?
*ვიტ ჯორჯია:* იტალიელებსაც აქვთ სერიალები?
*იბერია:* უჰ, რამდენიც გინდა...
*ვიტ ჯორჯია:* ქინქლაძე რას შვრება?
*იბერია:* გიოს „კოსმოსში“ იწვევენ.
*ვიტ ჯორჯია:* ვარსკვლავებში?
*იბერია:* არა, კაცო, ყოფილი ვარსკვლავების გუნდში.
*ვიტ ჯორჯია:* რატომ ყოფილი?
*იბერია:* აბა, რაღა დროს პელეს ფეხბურთია...
*ვიტ ჯორჯია:* „ნიუკასლი“ და „ლივერპული“ იწვევსო?
*იბერია:* ეგ ინტრიგაა.
*ვიტ ჯორჯია:* ვერ გავიგე.
*იბერია:* აი, შენ რომ უკრაინელი მწვრთნელი მოგყავს რახანია, ესეც ინტრიგაა.
*ვიტ ჯორჯია:* მაშ, ფეხბურთი რაღაა?
*იბერია:* რა და ინტრიგების მეფე.
*ვიტ ჯორჯია:* ესე იგი დავით კვინიკაძე.
*იბერია:* ის ადრე იყო.
*ვიტ ჯორჯია:* ახლის სახელი მითხარი.
*იბერია:* ლეგიონია მისი სახელი.
*ვიტ ჯორჯია:* რა სახარების ენაზე მელაპარაკები.
*იბერია:* ფეხბურთს თავისი სახარება აქვს.
*ვიტ ჯორჯია:* მერე რა წერია შიგ?
*იბერია:* ეგ დავითს ჰკითხე...
*ვიტ ჯორჯია:* სად ვნახო?
*იბერია:* მალე ჩამოვა, მალე...

# «ვიტ ჯორჯია». XIII ადგილი

## მეტის მიღწევაც შეგვეძლო

*თბილისის „ვიტ ჯორჯია" იმ რვა კლუბს მიეკუთვნება, ვინც მეათე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის მსვლელობის დროს მთავარი მწვრთნელი გამოიცვალა. ვიტელებმა პირველი შვიდი ტური სპარტაკ არჩვაძის ხელმძღვანელობით ჩაატარეს. ჩემპიონატის სტარტზე პირველ ადგილსაც გაუგეს გემო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხი მარცხი იწვნიეს და არჩვაძის ადგილიც ჯემალ მახარაშვილმა დაიკავა. მახარაშვილის თავკაცობით „ვიტ ჯორჯიამ" ოდნავ კი გაიუმჯობესა მდგომარეობა, მაგრამ გიორგი ჭანკოტაძის უდისციპლინობის გამო სამი ქულა ჩამოართვეს და საბოლოოდ მეცამეტე ადგილი დაიკავეს. პირველ წრეში ვეტერინართა თამაშის შეფასება, ცხადია, ჯემალ მახარაშვილს ვთხოვეთ.*



ჯემალ მახარაშვილი

— სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე გუნდის გამოსვლას, ბუნებრივია, არადამაკმაყოფილებლად მივიჩნევ. ხოლო თამაშის ხარისხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. „ვიტ ჯორჯია" ყველაზე ახალგაზრდული და გამოუცდელია ჩვენს ჩემპიონატში და ამის გათვალისწინებით ცუდად არ გვითამაშია. უკეთესი შედეგის მიღწევაც შეგვეძლო, მაგრამ დაკლებულმა სამმა ქულამ თავისი დაღი დაგვასვა. თუმცა ვთვლი, რომ ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელები გვყავს და მომავალში მეტს მივაღწევთ.

**— დაგვიხასიათეთ თითოეული რგოლი ცალ-ცალკე.**

— ყველა რგოლი მეტ-ნაკლებად თანაბრად არის დაბალანსებული. ყველაზე მეტად თავდასხმაში გვიჭირს და სწორედ ეს მიმაჩნია გუნდის უმთავრეს ნაკლად. ფეხბურთელები მთელი თამაშის მანძილზე დიდი შრომით და ჯაფის შედეგად ქმნიდნენ საგოლე მომენტებს, მაგრამ რეალიზაცია მინიმალური იყო. ამან ძალიან გვაზარალა, რამდენიმე თამაში არ უნდა წაგვეგო, მაგრამ სწორედ მომენტების გამოუყენებლობის გამო დავმარცხდით. ამიტომ ჩვენი უმთავრესი საფიქრალიც თავდასხმის გაძლიერებაა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეტი ხარვეზი გუნდში არაა და პრობლემებიც არ გვაქვს. სხვაც ბევრია გასაკეთებელი, ასე რომ, წინ საკმაო სამუშაო გველის.

**— გუნდის დადებით თვისებად რა მიგაჩნიათ?**

— უპირველეს ყოვლისა ისევ და ისევ პერსპექტიულობა და ნიჭიერება. ბიჭები ბევრს შრომობენ და ძალიან მონდომებულნი არიან, ცდილობენ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, გუნდის ყველაზე დადებით მხარედ სწორედ პერსპექტიულობა მიმაჩნია.

**— პირველი წრის ნახევარი „ვიტ ჯორჯიამ" არჩვაძის, მეორე ნახევარი კი თქვენი ხელმძღვანელობით ჩაატარა. თქვენი აზრით, რა განსხვავებაა ამ ორ გუნდს შორის?**

— ტაქტიკური თვალსაზრისით ბევრი სიახლე შევიტანეთ, თუმცა როგორ შეასრულეს ფეხბურთელებმა ჩვენი მითითებანი, ეს სხვა საქმეა. რამდენიმე მოთამაშეს ამპლუაც შევუცვალეთ. თამაშის ხარისხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვერ ვიტყვი, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა. სანამ გუნდში მოვიდოდი, „ვიტ ჯორჯიას" მიერ ბატონ სპარტაკის ხელმძღვანელობით ჩატარებული შეხვედრები ვნახე და იმ მატჩებში გუნდს ცუდი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია. მაშინვე ეტყობოდათ, რომ კარგი, პერსპექტიული ბიჭები იყვნენ.

**— ზემოთ დაკლებული სამი ქულა ახსენეთ. ფედერაციის გადაწყვეტილება სამართლიანად მიგაჩნიათ?**

— აქ ფედერაციის გადაწყვეტილების სამართლიანობაზე არ არის საუბარი. მცდარად დებულების იმ პუნქტს ვთვლი, რომლის მიხედვითაც დაგვსაჯეს. ეს პუნქტი პირადად მე დისკრიმინაციულად მიმაჩნია, რადგან არ შეიძლება გარკვეულ მომენტში ერთი ფეხბურთელის ფსიქოლოგიური არამდგრადობის გამო დანარჩენი 22 მოთამაშე დაისაჯოს. გიორგი ჭანკოტაძის საქციელს არ ვამართლებ. მაგრამ მთლიანად გუნდის დაზარალება, ჩემი აზრით, არასწორია. თვით სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება სამართლიანია, რადგან იგი მიღებულია შესაბამისი კანონის საფუძველზე, რომელსაც გვერდს, ბუნებრივია, ვერ აუვლი. ისე, ძალიან მკაცრი სასჯელია, სამი ქულა ხომ წაგვართვეს, ფულადი ჯარიმაც დაგვაკისრეს და ჭანკოტაძესაც მეათე ჩემპიონატის ბოლომდე აუკრძალეს თამაში. გიორგი ჩვენი დაცვისთვის საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა, მისი დისკვალიფიკაციის გამო კი დაცვა შეგვისუსტდა, რამაც ქულები დაგვაკარგვინა. ყოველივე ამან კი დანარჩენ ფეხბურთელებზეც უარყოფითი ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა.

**— გავიგეთ, ფედერაციისთვის თხოვნით მიგიმართავთ ჭანკოტაძისთვის დისკვალიფიკაციის შემცირების თაობაზე.**

— მართალია, ახლახან ფედერაციას ოფიციალური თხოვნით მივმართეთ. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ.

**— ყველაზე მეტად „ვიტ ჯორჯიას" მიერ ჩატარებულ რომელ მატჩს გამოარჩევდით?**

— ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა თბილისის „დინამოსთან" ჩავატარეთ. ის მატჩი 0:2 დავთმეთ. მართალია, შემდეგ პრესაშიც დაიწერა, რომ თითქოს ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა ზედმეტი ძალების დახარჯვის გარეშე მოგვიგო, მაგრამ მე სხვაგვარად ვთვლი. ასევე დამამახსოვრდა მატჩი ფოთში „კოლხეთთან". ის მატჩიც წავაგეთ, მაგრამ კმაყოფილი დავრჩი თამაშის ხარისხით. შეხვედრა ისე წარიმართა, მოგებაც შეიძლებოდა, წაგებაც. სამწუხაროდ, 2:1 დავმარცხდით. არადა, უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ რეალიზება ვერ შევძელით. მოგებული თამაშებიდან კი ბოლო მატჩს გამოვყოფ ზუგდიდის „ოდიშთან". მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა.

**— მეორე წრისთვის სად აპირებთ შეკრების მოწყობას?**

— გვსურდა, ორკვირიანი შეკრება დასავლეთ საქართველოში მოგვეწყო. კლუბის სხვა წარმომადგენლებთან ერთად წავედი სასურველი ადგილის მოსაძებნად, მაგრამ საბოლოოდ ისევ თბილისში დარჩენა და აქ მომზადება ვარჩიეთ. 7 თებერვლიდან 20 თებერვლამდე, ანუ თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩამდე მოვემზადებით. ამჟამად კი „ნორჩი დინამოელის" ბაზაზე ვვარჯიშობთ, რისთვისაც უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ამ სკოლის დირექტორს, ბატონ ოთარ გეგეჭკორს, რომელმაც უსასყიდლოდ დაგვითმო მინდორი და ნება დაგვრთო, გვესარგებლა სკოლის ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური სტადიონითაც.

**— კლუბის პრეზიდენტი გურამ რუხაძე ექვსეულში მოხვედრასა და თასის აღებას გისახავთ მიზნად, როგორ ფიქრობთ, შესწევს „ვიტ ჯორჯიას" ამის ძალა?**

— გუნდს საამისო პოტენცია ნამდვილად აქვს. საერთოდ ვთვლი, რომ მიუღწეველი არაფერია, მით უმეტეს ისეთი კლუბისთვის, როგორიც „ვიტ ჯორჯიაა", სადაც ყველანაირი თვალსაზრისით მშვენიერი სიტუაციაა. თუმცა პროგნოზისგან მაინც თავს შევიკავებ. ჩვენი უმთავრესი ამოცანა სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებაა, მაგრამ ვიმეორებ, გუნდს დიდი მიზნების მიღწევაც ძალუძს.

**ვანო ოქროპირიძე**

# ვასილ მაისურაძე: საბოლოოდ ფეხბურთელია დამნაშავე



ვასილ მაისურაძე (მარჯვნივ): „ვიტ ჯორჯიას" საიმედო ლიბერო

*პირველ წრეში „ვიტ ჯორჯიადან" რომელიმე რგოლი თუ გამოირჩა, გუნდის უკანა ხაზი იყო. დაცვის ბურჯი კი აშკარად ლიბერო ვასილ მაისურაძე გახლდათ. მთელი პირველი წრის სიმძიმემ მის ზურგზე გადაიარა. ვასკა იმ თაობის წარმომადგენელია, ყაველაშვილი, თეთრაძე, ჯამარაული და დოლიძე რომ დომინირებდნენ. არც არასდროს ყოფილა მათ გვერდით დაჩაგრული. სასკოლო ასაკი დამთავრდა და მაისურაძეც „მართვეში" გადავიდა. მერე იყო გაცდენილი სამი წელიწადი, დიდი ფეხბურთიდან დარბაზში გადაბარგება, ისევ ბალახისსაფრიან მინდორზე დაბრუნება და თელავის „კახეთი". ამას ტრავმა მოჰყვა, ფიზიკურიც და სულიერიც. ფეხბურთის უსაზღვრო სიყვარულმა ყველაფერს სძლია. მაისურაძის ხელმეორე დებიუტი წარმატებული გამოდგა. იგი „ვიტ ჯორჯიას" საუკეთესო მოთამაშედ იქცა.*

— პირველ წრეში ჩემი გარჯით კმაყოფილი არა ვარ. ვფიქრობ, გუნდისთვის მეტი შემეძლო გამეღო, მაგრამ 2-3 თამაში ჩამივარდა. ახლა ვფიქრობ, ვაანალიზებ განვლილ თამაშებს და ვრწმუნდები, რომ ყველაფერი გაცდენილი დროის ბრალია. ტრავმებმა სამი წელი გამაცდენინეს. ძნელია დაკარგულის ანაზღაურება, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვეცდები.

**— მართალია მაინცდამაინც ბევრი არ გითამაშია, მაგრამ იმ ხანმოკლე პერიოდში დაცვაში, ნახევარდაცვასა და თავდასხმაშიც გამოსცადე თავი. ყოველ ახალ გუნდში ამპლუას გიცვლიდნენ. თავად როგორ ფიქრობ, სად უფრო შეგიძლია შესაძლებლობების სრულად გამოვლენა?**

— მხოლოდ კარში არ ჩავმდგარვარ, თორემ დანარჩენი ყველა ადგილი მოვსინჯე. თავდასხმაში მყოფს გოლებიც ხშირად გამქონდა და წინ თამაშიც უფრო მიადვილდებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, მივაგენი ჩემს ადგილს. დაცვაში თავს უფრო თავისუფლად ვგრძნობ და გუნდისთვის მეტი სარგებლობის მოტანა შემიძლია. ლიბეროობასაც შევეჩვიე და ვცდილობ, ნაკლები ხარვეზი მქონდეს.

**— შენი აზრით, როგორი უნდა იყოს თანამედროვე ლიბერო?**

— ლიბეროს მცველის ყველა თვისება უნდა გააჩნდეს. ორთაბრძოლისას ძლიერი და სწრაფი უნდა იყოს, თამაშის რიტმს უნდა კითხულობდეს და სხარტი აზროვნებაც შეეძლოს. თანამედროვე ფეხბურთში ისეთი ტემპებია, რომ ნახევარდაცვას ყოველთვის არა აქვს საშუალება, შეტევა წამოიწყოს, ამიტომ ბურთის ამოტანა და შეტევათა უმრავლესობის ორგანიზება-წამოწყება ლიბერომ უნდა იკისროს. ვინც ამას აზერხებს, უმაღლესი დონის ლიბეროც ის არის.

**— „ვიტ ჯორჯიასთვის" მსაჯთან კამათი უცხო ხილი არ არის, მაგრამ არბიტრებთან მოკამათე პირადად შენ არავის ახსოვხარ...**

— მსაჯთან კამათს აზრი არა აქვს. რაც უნდა უთხრა, თავის ჩანაფიქრს მაინც განახორციელებს.

რა შეიცვლება იმით, ყოველივეს წუთით ადრე დააფიქსირებს, თუ გვიან? არაფერი. ამიტომაც ვცდილობ, ყოველ სასტვენს აბსოლუტური სიმშვიდით შევხვდე. მსაჯმა თუ ჩასტვინა, მერე არ გადათქვამს და ამაოდ რატომ მოვიშალო ნერვები.

**— შედარებით ნორმალური სტარტის შემდეგ „ვიტ ჯორჯიამ" თამაშ უკლო, პირველი წრე კი სახიფათო ზონაში დაასრულა. მიზეზს ხომ ვერ გვეტყოდი?**

— ეს არც მწვრთნელის ბრალია და არც ფეხბურთელის. პირობებიც ნორმალური იყო. უბრალოდ, შეუთამაშებლები ვიყავით, სეზონის წინ ხომ, ფაქტობრივად, ახალი გუნდი შეიკრიბა. მეორე წრეში უკეთესი შედეგი გვექნება. თითქმის იგივე გუნდით ვითამაშებთ და ახლა გაცილებით უკეთ გვესმის ერთმანეთის, ვიდრე სეზონის დასაწყისში.

**— რომელმა გუნდმა დატოვა კარგი შთაბეჭდილება და რომელმა გაგიცრუა იმედები?**

— აშკარად „ლოკომოტივს" გამოვარჩევდი. პირველ რიგში კი რკინიგზელთა სათამაშო დისციპლინას, მერე კი ბრძოლისუნარიანობას.

„სამტრედიამ" გაგვაოცა. სეზონი რიხით დაიწყეს, „ბათუმიც" წამოაქციეს და თავიდან გვეშინოდა კიდეც, მაგრამ მათთან თამაში საოცრად გაგვიადვილდა, საბოლოოდ დიდი ანგარიშით დავამარცხეთ.

**— შენი თაობის არაერთი ახალგაზრდა დაიკარგა ფეხბურთიდან. თავად ფეხბურთის სიყვარულმა „გადაგარჩინა". რატომ უჭირთ ახალგაზრდებს გარდატეხის ასაკის დაძლევა?**

— ჯერ ერთი, ჩვენში არანაირი პირობა არ არსებობს. ნახეთ, რას ჭამენ და სად ვარჯიშობენ ბავშვები. მწვრთნელზეც ბევრია დამოკიდებული. 16 წლის შემდეგ ფეხბურთელს გაზრდაში ხელს ვერ უწყობენ. მერე გარდატეხის პერიოდიც დგება და ყველამ იცის, რაც ხდება. არჩევანია ქუჩას, გართობასა და ფეხბურთს შორის. ხშირად ფეხბურთი განზე რჩება. მე მაინც ასე ვფიქრობ, საბოლოოდ თავად ფეხბურთელია დამნაშავე, თუ შესაძლებლობები ვერ გამოამჟღავნა.

**— შენი მეგობრების უმრავლესობა უცხოეთში თამაშობს, თავად თუ გიცდია წასვლა?**

— მოვა მაგის დროც, ჩემთვისაც გამოჩნდება კლუბი და წავალ. არც ის მინდა, უპატრონოდ, კარდაკარ ვიარო, მაგრამ აქაც დიდხანს რომ არ გავჩერდები, ნაღდია.

**მამუკა ქვანტალიანი**

# დამსახურების აღიარება

საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების ბოლოდროინდელ წარმატებებს ყველა ხედავს. ოქროს მედლები პორტუგალიის მსოფლიოს ახალგაზრდების ოლიმპიური თამაშებიდან, მერე იმედგაცრუება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში, ერთი ნაბიჯი დააკლდათ ტრიუმფამდე, სალიდეროდ გამზადებულები საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდნენ. მაშინ ბერძნებმა გვაჯობეს და იმედიანი მომავალიც გაფერმკრთალდა.

თუმცა ჩვენმა თვრამეტწლამდელებმა გულშემატკივრებს წყენა მალევე გაუქარვეს. გასულ წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჯერ ბულგარელებს სძლიეს, მერე კი მასპინძელ უნგრელებსაც არ დაეჩაგვრინენ და ჯგუფში პირველები ახალ მეტოქეს, ჩეხეთის ნაკრებს გაზაფხულზე შეერკინებიან.

წარმატების თავი და თავი ნაკრების მწვრთნელების — ვახტანგ კოპალეიშვილის და თენგიზ კაციას დაულალავი და ნაყოფიერი შრომის შედეგია. წარმატებამდე და აღიარებამდე რამდენიმე რთული წელი მიილია. იყო ცივი ზამთარი და გაჭირვება, არანორმალური და ცივილური საფეხბურთო სამყაროსთვის მიუღებელი პირობები, მაგრამ მწვრთნელებს მუშაობა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ.

ფეხბურთის ბევრ ქომაგს ეროვნული ჩემპიონატის უსახური მატჩების ცქერა რომ მობეზრდება, მუშტაიდის ბაღთან არსებულ „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლას მიაშურებენ და კოპალეიშვილისა და კაციას აღსაზრდელთა ჟინიანი ბურთაობით იქარვებენ გულს მოწოლილ ნაღველს. სწორედ იქ ნახავთ პატარა საფეხბურთო სასწაულებს პატარა ჯადოქრების შესრულებით.

ხალხს არაფერი გამოეპარება, გულშემატკივარი მშრომელ და მცოდნე მწვრთნელს აფასებს.

ვახტანგ კოპალეიშვილისა და თენგიზ კაციას მონდომება და თავდადება ფეხბურთის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამაც დააფასა. სულ ახლახანს თვრამეტწლამდელთა ნაკრების დამრიგებლებს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ.

ამქვეყნად არაფერი იკარგება. სანთელ-საკმეველი ოდესღაც თავის სიმართლეს იპოვის. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო თქმულა, მაგრამ კოპალეიშვილ-კაციას დუეტისთვის გვიანი სულაც არ არის. მთავარი საკეთებელი ხომ წინაა.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ტორპედო წყალში მშრალზე დატოვეს

ქუთაისის „ტორპედომ" გუშინ ანთალიაში მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა უკრაინის უმაღლესლიგელ მარიუპოლის „მეტალურგთან".

სასტუმრო „ოფო ანთალიის" ადმინისტრატორმა ამჯერად ტორპედოელ კახა კვეტენაძესთან დაგვაკავშირა. ქუთაისელთა გუნდის კაპიტანი ნირწამხდარი ჩანდა. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, კახას საამისო მიზეზიც ჰქონდა. მეათე ეროვნულის მეორეადგილოსნები 0:3 დამარცხებულან და კვეტენაძესაც დანა პირს არ უხსნიდა.

— რა უნდა გითხრათ. თითქოს ცუდად არ ვთამაშობდით, მომენტებიც გვქონდა, მაგრამ რად გინდა. ერთი ბურთი ჩვენს კარში გავიტანეთ, ერთიც პენალტით გავუშვით და... შეხვედრა „მეტალურგის" მეორე თუ მესამე მწვრთნელმა იმსაჯა, ცოტა იმანაც... არა, არ მინდა წუწუნი დავიწყო, ყველაფერი ჩვენი ბრალია. კიდევ ორი თამაში გვაქვს დაგეგმილი და იმედია, აღარ შევრცხვებით — გვითხრა კახამ.

ისე, მართლა სირცხვილია უკრაინის საშუალო დონის გუნდთან დიდი ანგარიშით დამარცხება. „ტორპედოს" 17 ოქტომბრის შემდეგ ასეთი სხვაობით არ წაუგია. მაშინ „დილამ" შეძლო ქუთაისელთა 3:0 განადგურება.

გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით, „ტორპედომ" წვიმაში მშრალად დაიწყოო. ანთალიაში კვლავ ავდარია და იმერლებს ისევ წყალ-ტალახში უთამაშიათ. არადა, „ტორპედომ" ხმელთაშუა ზღვისპირეთს სწორედ კარგი კლიმატის გამო მიაშურა.

**ხვიჩა სანიკიძე**

# სურვილი ერთია, შესაძლებლობა მეორე

მოზირის მპკც-ს ქართველი თავდამსხმელი ლევან ბერიშვილი, რომელიც თბილისის „დინამოში" აპირებდა თამაშს, ალბათ, კვლავ ბელარუსში გააგრძელებს ბურთაობას.

ამას წინათ „სარბიელისთვის" მიცემულ ინტერვიუში ლევანი იმედიანად აცხადებდა, მოზირელები პრობლემას არ შემიქმნიან და „დინამოში" თამაშიც შემეძლებაო. თუმცა ისიც გვითხრა, თუ კლუბები ვერ შეთანხმდნენ მოზირში დავბრუნდები, ბელარუსები წინააღმდეგნი არ იქნებიანო.

მეორე ვარაუდი გამართლდა. როგორც ბერიშვილმა განგვიცხადა, ამ საქმიდან არაფერ გამოვიდა და ჩრდილოეთში დაბრუნება მოუწევს.

მიზეზი? ქართველი ფეხბურთელის სანაცვლოდ მოზირელები 30 ათას დოლარს ითხოვდნენ. თანხის შემცირების მიზნით წარმოებულმა მოლაპარაკებამ, ეტყობა, შედეგი არ გამოიღო და „დინამოს" ხელმძღვანელობამაც ხელი აიღო ბერიშვილის გადმობირებაზე. არადა, სურვილი კი ჰქონდა... რას იზამ, ზოგჯერ ჩვენი მარადი ჩემპიონის სურვილი და შესაძლებლობაც არ ემთხვევა ერთმანეთს.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ნადირაძემ არჩვაძე გაიხსენა

გუშინწინ დილომში, „ლოკომოტივის" საწვრთნელ ბაზაზე, რკინიგზელთა წინააღმდეგ ბოლნისის „სიონის" შემადგენლობაში ახალწვეულმა ითამაშა. ის პირველ წრეში „ბათუმში" მოთამაშე ირაკლი ნადირაძე გახლდათ. ნადირაძეს ძირითადად სათადარიგოთა სკამზე უხდებოდა ჯდომა, ბუნებრივია, ფეხბურთელი ამას ვერ შეეგუა და ზღვისპირელებთან ურთიერთობის გაწყვეტა ამჯობინა. ირაკლის, ალბათ, ბოლნისელთა ძირითადში თამაში ურჩევნია სათადარიგოთა სკამზე დროის უქმად ხარჯვას. მართალია, „სიონის" თავკაცს სპარტაკ არჩვაძეს იგი ჯერ საქმეში არ უნახავს, მაგრამ, როგორც ამბობენ, წინასწარ იცის მისი შესაძლებლობები, რადგან ნადირაძე „მორკინალში" მაშინ თამაშობდა, როცა არჩვაძე ამ გუნდის გაწვრთნაში ელგუჯა გუგუშვილს ეხმარებოდა. ახლა ერთხელაც დააკვირდება და ალბათ გუნდშიც აიყვანს. ასე რომ, უნდა ვივარაუდოთ — ირაკლი ნადირაძის სიონელობას არაფერი უკლია.

**გიორგი მაზაკიძე**



საით გარბიან ბიჭები?

# დიდების ზღაპარი

*„ეინდჰოვენის" სათავეში მისულმა ბობი რობსონმა, რომლის ერთ-ერთი შეგირდი ქართველი გოგა გახოკიძეცაა, დაიჩივლა: ჩემი ფეხბურთელები საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატს მეტად ზერელედ ეკიდებიან და მათთვის უმთავრესი ევროთასებზე გამოსვლააო. ვინ-ვინ და ბობი რობსონმა მშვენივრად იცოდა, რასაც ამბობდა. იგი კარგ მწვრთნელთან ერთად ჩინებული ფსიქოლოგიცაა და იცის, არჩევანი-არადანი პროფესიონალი ფეხბურთელის საქმე არ არის, იგი ერთნაირი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს შინაური ჩემპიონატის, ევროტურნირების თუ სანაკრებო თამაშებს.*

„ეინდჰოვენისა" და რობსონის მაგალითი აქ არაფრად გამოგვადგებოდა, რომ არა ჩვენში, ქართულ ფეხბურთში გამეფებული ერთი ჭირიც — ქართველებს ჰოლანდიელებზე (და ვისზეც გინდათ) ჩირად უღირთ საქართველოს ჩემპიონატი და ერთი სული აქვთ, როდის გასწევენ საზღვარგარეთ ბურთის სათამაშოდ. ეტყობა, მიაჩნიათ, რომ მეტად მაღლა დგანან ეროვნულ ჩემპიონატზე. ერთი სიტყვით, ფიქრობენ, რომ დიდები არიან.

## დიდები

ერთია, როცა ფეხბურთელი თავადაა მონდომებული, უცხოეთში წავიდეს სათამაშოდ და მეორე, როცა მისი გუნდის პრეზიდენტი, მწვრთნელი, უფროსი ან ვინც გნებავთ, სხვა ფუნქციონერი დარბის და ეძებს პირველიდან ჭ-მდე ლიგების (ევროპაში, რა თქმა უნდა) გუნდებში ადგილს ამ ფეხბურთელისთვის.

ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იმხანად ახალმოჩიტული მიხეილ აშვეთია გახლდათ, რომელმაც თავის „მენეჯერთა" გამოისობით იმდენი ქვეყანა მოიარა, კოლუმბიდან დაწყებული მარკო პოლოთი დამთავრებული ნებისმიერი მოგზაური შურით გასკდებოდა. აი, გამოსვლით კი არაფერი გამოვიდა — მიხეილ აშვეთიას გემო ეგრეც ვერ გაიგეს ევროპელებმა.

მსგავსი განურჩევლობის და განუკითხაობის გამოა, მერე ფეხს რომ ვერსად იკიდებენ ქართველი ფეხბურთელები და კარიერის საუკეთესო წლებს ალმა-დალმა წოწიალში ფლანგავენ. ჩვენც, ჟურნალისტებსაც, რაღა დაგვრჩენია, მოვყვებით და ვწერთ — ის მწვრთნელს ვერ მოურიგდა, ეს პირობებმა ვერ დააკმაყოფილა, იმას ფეხი ეტკინა, ამას უკეთესი ვარიანტი გამოუჩნდაო და ვართ ასე...

მე კი მგონია, სულ სხვაგანაა ძაღლის თავი დამარხული — ფეხბურთელი რომ ოსტატობის სრულყოფაზე ფიქრს შეეშვება (ბურთის თამაშსაც) და მარტო ქვეყნიდან გაქცევაზე უჭირავს თვალი, ის ბევრს ველარაფერს მიაღწევს. კარგი ფეხბურთელები არ ეძებენ, კარგ ფეხბურთელებს აქეთ ეძებენ და რაც გინდა „ჩალიჩა" მენეჯერი გყავდეს, თუ როგორც ფეხბურთელმა, ისე არ დააინტერესე ევროპული კლუბები, კაპიკია შენი და შენი ტრანსფერის ფასიც.

ისიც სათქმელია, რომ მიუხედავად საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონისა, უნდათ თუ არ უნდათ, ქართველმა მოთამაშეებმა ჯერ აქ უნდა გამოიჩინონ თავი და მხოლოდ მერე შეიძლება წავიდნენ უცხოეთში.

ისევ მაგალითს მივმართოთ და გიორგი ქინქლაძის ერთი ნიძლავი გავიხსენოთ. ამ ამბის უტყუარობაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ თავის დროზე პრესაში კი გამოჟონა და ამჟამად უკეთესიც არაფერი მომაფიქრდა.

„დინამოს" ერთ-ერთი მატჩისას თბილისელთა გუნდის რომელიღაც მესვეური ქინქლაძესთან ნიძლავს ჩასულა, ჰეთ-თრიქს თუ შეასრულებო. გიორგის პირველივე ტაიმში მოუმთავრებია საქმე და იქვე ახალი სანაძლეო შეუთავაზებია იმ კაცისთვის, სამ ბურთს კიდევ გავიტანო.

როცა საქმე მსგავს რამეებზე მიდგება, მაშინ მართლა აქვს უფლება ფეხბურთელს, სხვა, უფრო მაღალი დონის ჩემპიონატი ეძებოს, მაგრამ...

დღევანდელი ქართული სიტუაციის შემხედვარეს ერთი ქართული ანდაზა მახსენდება — ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო.

ერთი სიტყვით, ფეხბურთელებსაც გაჩნიათ. ამიტომ ყველას არა აქვს უცხოეთში თამაშის უფლება. ქართული ფეხბურთის, ქართველი ფეხბურთელის იმიჯი და ფასი ეცემა და იმიტომ.

## GO გივი GO

ფეხბურთი მასობრივი თამაშია — არნახულად მოედო მსოფლიოს. აქედან გამომდინარე, ფეხბურთში ყველა საიდუმლო ამოხსნილია და „უხარისხო პროდუქციით" ახლა ველარავის მოატყუებ. ფულს სხვები კი არა, ქართველები აღარ ვყრით წყალში — ბევრიც ეცადა ნიგერიელი ბარი სალამი — ფეხბურთელი ვარ, ბურთი ამუნიკეს გვერდით მიგორებია, ხაშურშიც იყო, სამტრედიაც მოიარა, სახელიც კი შეიცვალა, გივი დაირქვა, მაგრამ მიუხვდნენ ოღრაშობას და მწვანე მინდვრის მაგიერ ბენზინგასამართ სადგურზე მორიგე ოპერატორად მოუწია გარჯამ.

ასე დაემართა მეორე ნიგერიელსაც, ვინმე რიჩარდს — „სამტრედიელი გივისგან" განსხვავებით, იგი თბილისს არ გასცილებია, შეეცადა, „მერანისთვის" შეესაღებინა თავი, მაგრამ ტრანსპორტელების მწვრთნელის სერგო გაბელაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ფეხბურთის თამაშზე მეტად გულშემატკივრობა ეხერხებოდა და გულშემატკივრადვე დარჩა.

ასეა, რაც უნდა იძახოს ჭიჭყინამ, დამაფასეთ, ზუთხის გვერდით ვარ ნაცურავებიო, ქინძმარში არავინ ჩააწყობს, დიდი-დიდი საკონსერვოდ გაიმეტონ. იმისთვის, რომ ფეხბურთელად გაღიარონ, არც მარტო ზანგობაა საკმარისი და არც ქართველობა.

ბევრი უძახეს სამტრედიელებმა ბარი სალამის: GO, გივი, GO, მაგრამ მის ფეხბურთელობას არაფერი ეშველა.

და თუ მაინც გადაწყვეტენ „ევროვოიაჟს" ალალბედზე ქართველი ფეხბურთელები, ქვეყანა დიდია — თუ მოედანზე არა, ბენზინგასამართ სადგურზე მაინც შეეძლებათ მოხვედრა.

## ზღაპარი

ზღაპარი იმიტომაცაა ზღაპარი, რომ კარგად მთავრდებოდეს.

ქართულ საფეხბურთო ზღაპარში კი ყველაფერი უკუღმა ხდება — კარგად დავიწყეთ და ბოლო ვერ ჩანს კეთილი.

აღარც დონე, აღარც ინტერესი, შედეგზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

ლეგიონერთა რიცხვი ვითომ კი იზრდება, მაგრამ თითებზე ჩამოვითვლით იმ გუნდებს, რომლებშიც თავმოყვარე ფეხბურთელი იკადრებს თამაშს. უმეტესობა ქართველი ლეგიონერებისა მართლაც რომ „ჭ" კლასის გუნდებში გამოდის.

მთავარი რაოდენობა რომ იყოს, გაგიხარიათ, ერთ-ერთი მოწინავენი ვიქნებოდით მიწის ზურგზე, მაგრამ ცხოვრებამ ხომ დიდი ხანია, გვასწავლა — მთავარი ხარისხია და არა რაოდენობა.

მოლდოვაში, ისლანდიაში და მსგავსი დონის ქვეყნებში გამოსვლით კი, არა მგონია, ვარსკვლავები მოწყვიტონ ქართველმა ფეხბურთელებმა. არც ის მგონია, იმდენ ფულს უხდიდეს ქართველებს „შერიფი" ან „აშქელონი", რომ იქ ჩაკარგვად ღირდეს.

როგორ ფიქრობთ, ნორმალური ამბავია, საქართველოს ცხრაგზის ჩემპიონის ლამის მთელი შემადგენლობა ბელგიის მესამელიგელ „რასინგ მეხელენში" რომ გადაბარგდა?

ამას წინათ „სარბიელმა" ნაკრების საბაზო გუნდებზე დაწერა. და აი, საქართველოს ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდი, ბელგიის მესამე ლიგის კლუბი ხდება. რას იტყვით, ხომ კარგი ამბავია?!

აგერ, თანამეგობრობის თასზეც დაბალ ლიგაში ჩამოქვეითდა ჩვენი ჩემპიონი. მავანი იტყვის, „დინამო 2" ჩამოქვეითდაო, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი შეღავათია, სირცხვილი გინდა „დინამო 2"-ს უჭამია, გინდა „დინამო 9"-ს. ქართული ფეხბურთის პრესტიჟს ამით არაფერი ემატება. საქმე ფუჭდება, დონე ეცემა, ხალისი ქრება. ერთი სიტყვით, აღარ ვართ დიდები.

„ჭირი აქა" — ქართული საფეხბურთო ზღაპარიც ეს არის.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# კაცი, რომელმაც ოცნება აისრულა

ჰასან სალიჰამიჯიჩი საფეხბურთო მსოფლიომ რამდენიმე თვის წინ გაიცნო. ბუნდესლიგის წლევანდელი სეზონის დაწყებამდე გერმანიის ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა მიუნხენის „ბაიერნმა“ მოულოდნელად ბევრისთვის უცნობი ახალგაზრდა ბოსნიელი ნახევარმცველი შეიძინა. უმეტესობამ ბავარიელთა ეს ნაბიჯი უარყოფითად შეაფასა, მაგრამ ბოსნიელმა თავისი სიძლიერე რამდენიმე თვეში დაამტკიცა და ოპონენტებიც დაადუმა. დღეს რომ „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტია, ამაში ლომის წილი სწორედ სალიჰამიჯიჩს მიუძღვის. მან ჯერ „კამპ ნოუზე“ „ბარსელონას“ გაუტანა გადამწყვეტი გოლი („ბაიერნმა“ 2:1 მოიგო), შემდეგ კი „ოლდ ტრეფორდზე“ მისული ინგლისელი ქომაგებიც დაამწუხრა (1:1) და „ბაიერნი“ ძლიერთა წრეში გაიყვანა. ბოსნიელმა ბუნდესლიგის ჩემპიონატშიც არანაკლებ გამოიჩინა თავი და პოპულარული გერმანული ჟურნალის „შპორტ ბილდის“ ფურცლებზეც მოხვდა.

„მე ჩემი ბავშვობის ოცნება ავისრულე, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ კლუბში მოვხვდი და რაც მთავარია, სტატისტის როლს არ ვასრულებ“ — ამ სიტყვებს რომ ამბობს, 22 წლის ბოსნიელ ბიჭს თვალზე ცრემლი ადგება. „ხანდახან ვფიქრობ — ნუთუ ეს სინამდვილეა? ეს უფრო ლამაზად დასრულებულ ზღაპარს ჰგავს. ყველაფერი ხომ ასე ცუდად დაიწყო“...

დასაწყისი კი მართლაც ცუდი, ძალიან ცუდი იყო. 1992 წლის 11 დეკემბერს იუგოსლავიაში სამოქალაქო ომი დაიწყო. 15 წლის ყმაწვილი, ისევე, როგორც მისი სხვა თანატოლნი, ენით გამოუთქმელმა შიშმა შეიპყრო. „იმ დროის გახსენება ახლაც კი მზარავს, ეს საშინელება იყო“ — იგონებს ჰასანი. მამამისმა შვილი ასეთ მდგომარეობაში რომ დაინახა, ხელი მოჰკიდა, ხორვატიაში ჩაიყვანა, იქ ავტობუსში ჩასვა და ჰამბურგის გზას გაუყენა. „ავტობუსში ჩემს გარდა ყველა ხორვატი იყო. სლოვენიის საზღვართან გაგვაჩერეს. მესაზღვრეებმა საბუთები მოგვთხოვეს. თანამგზავრებმა მათ ხორვატული ლურჯი ფერის პასპორტები და ვიზები აჩვენეს და საზღვარზეც უპრობლემოდ გაატარეს, მე კი ბოსნიური ყავისფერი პასპორტი ამოვიღე, ვიზა კი საერთოდ არ მქონდა“.

აბა, წაეთრიე აქედან — ულრიალა მესაზღვრემ და უკან გასაბრუნებელი გზა უჩვენა. ყმაწვილი კვლავ შეშინდა. იგი პირველად მიდიოდა სადღაც, მშობლების გარეშე, თანაც გაგანია ომში, სადაც ირგვლივ ყველას იარაღი ჰქონდა ასხმული.

რა დაგკარგვია ჰამბურგში? — ჰკითხა მესაზღვრემ, მერე კი იქვე სასაზღვრო შენობისკენ წაიყვანა. იქ შესულ ჰასანს საზღვარზე გატარებაში ფული მოსთხოვეს. ვიდრე ომი დაიწყებოდა, სალიჰამიჯიჩი ფეხბურთზე სიარულს მუშაობასაც უთავსებდა. იგი სახლთან ახლოს სამიკიტნოში მიმტანად მუშაობდა და იმდენს შოულობდა, ოჯახის რჩენასაც ახერხებდა. ჰამბურგის გზაზე დამდგარს საკუთარი შრომით ნაშოვნი 1000 მარკა ედო ჯიბეში. „აი, სულ რვაასი მარკა მაქვს და აიღეთ“ — იცრუა ბიჭმა და თამამად შეხედა მესაზღვრეებს თვალებში, დანარჩენი 200 მარკა კი მეორე ჯიბეში საგულდაგულოდ გადამალა. „გულადი ყმაწვილი ყოფილხარ, ჩაიდე ეგ ფული და წადი“ — უთხრა უფროსმა და ჰასანი 24 საათის შემდეგ უკვე ჰამბურგში იყო.

ჰამბურგში თავიდან ცუდად მოვეწყვე. ერთ ბოსნიურ ოჯახში ვცხოვრობდი, გერმანული ენა საერთოდ არ ვიცოდი და თავს მარტოსულად ვგრძნობდი. მშობლებთან ტელეფონით დაკავშირებასაც ვერ ვახერხებდი. ბოსნიაში სატელეფონო კავშირი ომის გამო მთლიანად მოშლილი იყო. ისეთ მდგომარეობაში ვიყავი უკან დაბრუნებაც კი გადავწყვიტე, მაგრამ შემდეგ თავს ვძლიე და დავრჩი“. ჰასანი „ჰამბურგის“ საფეხბურთო სკოლაში მივიდა, სადაც რუდი კარგუსმა, ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელმა, გასინჯა და სკოლაში მიიღო. ფეხბურთის გარდა ბოსნიელი ბიჭუნა სწავლასაც დიდ ყურადღებას უთმობდა. სამშობლოში განათლების მიღების საშუალება არ ჰქონია, მთელ დღეს ბურთის თამაშში და სამიკიტნოში მუშაობაში ატარებდა. გერმანიაში კი სწავლაც დაიწყო, მაგრამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესში ველარ ჩააბარა, რასაც მტკივნეულად განიცდის. თუმცა პროფესიის არქონის დარდს დღევანდელი მატერიალური მდგომარეობა უმსუბუქებს. „ბაიერნში“ დღეში 3 000 მარკას იღებს, რაც საკუთარი მომავლის უზრუნველყოფის გარანტიას აძლევს.



**ჰასან სალიჰამიჯიჩი**

დაიბადა 1977 წლის 1 იანვარს.

დაბადების ადგილი — მოსტარი (იუგოსლავია)

ოჯახური მდგომარეობა — ჰყავს მეგობარი გოგონა ესტერი

კლუბები — ჰამბურგი, ველესი (მოსტარი), 1998 წლის ზაფხულიდან „ბაიერნშია“.

ბავშვობის ოცნება — სახელგანთქმულ კლუბში თამაში

ჰობი — ფილმების ყურება, სოულის და რეპის მოსმენა

პირველად იღბალმა სალიჰამიჯიჩს 18 წლის ასაკში გაუღიმა. „ჰამბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა, რომელიც ბოსნიელის შესაძლებლობებს სამოყვარულო და ახალგაზრდული გუნდებიდან იცნობდა, ჰასანი ტრავმირებული ჰარალდ შპიორლის შემცვლელად იხმო და მალე ძირითად შემადგენლობაშიც ათამაშა. „მთელი ცხოვრების მანძილზე მაგათის დიდი მადლობელი ვიქნები, იგი მენდო და გაჭირვების ჟამს მფარველობა გამიწია“ — სამადლობელ სიტყვებს არ იშურებს იგი.

პირველი სეზონის ცხრა მატჩში სალიჰამიჯიჩმა ორი ბურთი შეაგდო. აქედან ერთმა „ჰამბურგს“ უეფას თასის საგზური მოუტანა.

მომდევნო წელი წინაზე უკეთესი გამოდგა. სალიჰამიჯიჩმა ბოსნიის ნაკრების შემადგენლობაში დებიუტი ხორვატიის ნაკრების კარში გატანილი გოლით აღნიშნა და ქვეყნის ეროვნულ გმირად იქცა. მაგრამ მთავარი ოჯახის წევრებთან შეხვედრა იყო. ოთხი წლის განშორების შემდეგ ჰასანი მათ, როგორც იქნა შეხვდა. „ეს უდიდესი ბედნიერება იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში დედ-მამა და და არ მენახა, ისიც კი არ ვიცოდი, სად იყვნენ, რას აკეთებდნენ, ხანდახან ცოცხლები ალარც მეგონნენ“ — იხსენებს იგი. არადა, ადვილი შესაძლებელი იყო, ოჯახის წევრები მართლაც დაეკარგა. ერთ დღეს მის სახლს, სადაც ფეხბურთელის დედ-მამა და და იმყოფებოდნენ, სერბების ნასროლი ყუმბარა მოხვდა, მაგრამ იგი დაზიანებული აღმოჩნდა და არ აფეთქდა. ამგვარად გადარჩნენ სალიჰამიჯიჩები დაღუპვას. ოთხწლიანი განშორების შემდეგ მათი შეხვედრა ამაღელვებელი გამოდგა. „მთელი დღე სიხარულისგან ვტიროდი, ჩვენ ისევ ერთად ვიყავით. ის დღე არასოდეს დამავიწყდება“ — ცრემლმორეული ამბობს ჰასანი.

გასულ ზაფხულს სალიჰამიჯიჩს კიდევ ერთი ბედნიერი დღე გაუთენდა. დილით ტელეფონის ზარი აწკრიალდა. მენეჯერმა სასწრაფოდ მიუნხენში დაიბარა. მალე კი „ბაიერნთან“ კონტრაქტიც გაფორმდა. რომლის თანახმადაც იგი მილიონერი გახდა.

„ბაიერნში“ მისულმა თანაგუნდელებს თავისი ისტორია რომ უამბო, ყველა გაკვირვებული დარჩა. „ნუთუ შენ ეს შეძელი“ — ჰკითხეს მათ. „დიახ, მე ამას მივაღწიე, მაგრამ მივაღწიე უდიდესი შრომის, ძალისხმევისა და ნებისყოფის შედეგად. ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, თუმცა შიმშილის გრძნობაც მაწუხებს, შიმშილი მეტის მიღწევისა. მით უმეტეს, ვიცი, მე ეს შემიძლია“ — უპასუხა ჰასან სალიჰამიჯიჩმა ახალ თანაგუნდელებს.

**ვანო ოქროპირიძე**



ჰასან სალიჰამიჯიჩი (მარცხნივ) მეტოქეს გაურბის




**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციის თანხმობით „ბარსელონამ“ და მადრიდის „ატლეტიკომ“ ერთმანეთში ამხანაგურად ითამაშეს. შეხვედრა პირინეის ნახევარკუნძულზე ნარკოტიკების წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი გახლდათ. „კამპ ნოუზე“ პირველი ნახევარი ფრედ 0:0 დასრულდა, თუმცა შესვენების შემდგომ მასპინძლებმა იძალეს და „ატლეტიკოს“ ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს — დრაგან ჩირიჩმა, ძმებმა ოსკარ და როხერ გარსიებმა და ჰოლანდიელმა მცველმა უინსტონ ბოგარდმა გამოიჩინეს თავი. სხვათა შორის, ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებული მძიმე ტრავმის შემდეგ ბოგარდმა პირველად ითამაშა. მატჩში მონაწილეობდა ჟუნინიოც, თუმცა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა მხოლოდ ნახევარ საათს დაჰყო მოედანზე. ისე, გაირკვა, რომ ჟუნინიოს მადრიდის „ატლეტიკო“ არსად არ უშვებს. გამთამაშებლის შეძენას ბირმინგემის „ასტონ ვილა“ ცდილობდა.

**ინგლისის** 1995 წლის ჩემპიონმა „ბლექბერნ როვერსმა“ კიდევ ერთი მოთამაშე შეიძინა. ამჯერად მათთან ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის „ლივერპულის“ ნახევარმცველი ჯეისონ მაკატირი გადაბარგდა. 27 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „ვეცდები, იმედები გავამართლო. მე მენდნენ და უფლება არ მაქვს, მათ ვუმტყუნო“ — განაცხადა მაკატირმა. ირლანდიელი მოთამაშის ნაცვლად „ლივერპულმა“ 7,2 მილიონი დოლარი მიიღო. „ბლექბერნ როვერსში“ მაკატირი კლუბის კაპიტნის, ლონდონის „ტოტენჰემში“ მიმავალი ტიმ შერვუდის შემცვლელად ესახებათ. „ლივერპულში“ სამწლიანი თამაშის შემდეგ მაკატირი ახალ გუნდში პირველ შეხვედრას, ალბათ, მორიგ ტურში ჩაატარებს. მას შემდეგ, რაც „ბლექბერნ როვერსმა“ ახალი მწვრთნელი ბრაიან კიდი დანიშნა, გუნდმა „ნიუკასლიდან“ კიტ გილესპი, „ბარნსლიდან“ ემლი უორდი, „კრისტალ პალასიდან“ მეტ იონსენი, „ლივერპულიდან“ კი ჯეისონ მაკატირი შეიძინა.

**პორტუგალიის** მრავალგზის ჩემპიონმა ლისაბონის „ბენფიკამ“ თავდამსხმელი უგო პორფირიო ინგლისის „ნოტინგემ ფორესტს“ ათხოვა. პორფირიო ნოტინგემელთა განკარგულებაშია სეზონის ბოლომდე. ფორვარდისთვის ეს სულაც არაა დებიუტი პრემიერლიგაში — გასულ სეზონში ის ლონდონის „ვესტ ჰემის“ ღირსებას იცავდა. რაც „ბენფიკას“ შოტლანდიელი გრემ სუნესი წვრთნის, პორფირიო სულ უფრო იშვიათად თამაშობდა. კლუბმა ფეხბურთელის დროებით გასხვისება ამიტომ გადაწყვიტა.

**რუმინეთში** დააკავეს კრაიოვას „უნივერსიტატეას“ წარმომადგენელი სტეფან ილინჩა, რომელსაც კლუბის დოკუმენტების გაყალბება, თანხის მითვისება და საგადასახადო ინსპექციისთვის შემოსავლის ნაწილის დამალვა ედება ბრალად. თავად ეჭვმიტანილმა ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდებები წმინდა წყლის სიცრუეა, თუმც გამომძიებელმა რობერტ კაზანჩიუკმა „როიტერის“ სააგენტოს განუცხადა, რომ საქმე ძირფესვიანადაა შესწავლილი და მალე დასრულდება კიდეც. 1960 წელს დაარსებული „უნივერსიტატეა“ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კლუბია ბუქარესტული გუნდების შემდეგ. შეგახსენებთ, რომ 1994-95 წლების უეფას თასის გათამაშების შესარჩევ ეტაპზე თბილისის „დინამომ“ კრაიოვას „უნივერსიტატეა“ შინ 2:0, ხოლო სტუმრად 2:1 დაამარცხა.

**საფრანგეთის** ჩემპიონატის აუტსაიდერის „ტულუზის“ ახალი მწვრთნელი, 1984 წლის ევროპის ჩემპიონი ალან ჟირესი გულშემატკივრებს დაპირდა, რომ გუნდის მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველაფერს იღონებს. შეგახსენებთ, რომ ჟირესმა კლუბის მწვრთნელის თანამდებობაზე გი ლაკომბი შეცვალა. დღესდღეობით „ტულუზს“ 21 მატჩიდან მხოლოდ ორი მოგება აქვს. 46 წლის ჟირესმა განაცხადა, რომ მალე რამდენიმე ძლიერ მოთამაშეს შეიძენენ და კრიზისს თავს დააღწევენ. ტულუზელებს რამდენიმე პარიზელი ფეხბურთელის გადაბირება ჰქონიათ ჩაფიქრებული.

**რუსეთის** ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ვლადისლავ რადიმოვი პირინეის ნახევარკუნძულიდან სამშობლოში დაბრუნდა — მან მოსკოვის „დინამოსთან“ გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი. 22 წლის ფეხბურთელმა ამ სეზონში „სარაგოსას“ შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, შესაბამისად, ქვეყნის პირველ გუნდშიც აღარ გამოიძახეს. ეს კი ახალგაზრდა ნახევარმცველს არ ეპატიება.

## ამხანაგური მატჩი

### მალტა 2:1 ბოსნია

0:1 სალიჰამიჯიჩი (29), 1:1 კარაბოტი (45), 2:1 ბუზუტილი (85)

მალტა: ბარი, ტურნესი, ბუაგირი (კუტახარი), ველა (საიდი), ჩეტკუტი, ბუტიგიგი, ბუზუტილი (ბენჩინი), სალოზა, კარაბოტი, ბრინკატი (კამილერი), აგიუსი

ბოსნია: პეიკოვიჩი, კაპეტანოვიჩი (იტიარევიჩი), იასმანი, კონდიჩი, ვარესანოვიჩი, რიზვიჩი, ზაიმოვიჩი, ჰალილოვიჩი, რეპუხი, სალიჰამიჯიჩი, ჰასანიჩი (დედიჩი)

სანამ ევროპაში კვლავ დაიწყება კონტინენტის პირველობის შესარჩევი ტურნირის შეხვედრები, გუნდები ამხანაგურ შეხვედრებში ცდიან ძალებს. მალტის ფეხბურთის ფედერაციამ ორი მეტოქე გამოძებნა — ერთს, ბოსნიას, უკვე უმასპინძლა და დაამარცხა კიდეც, მეორეს, პოლონეთს კი ლა-ვალეტაში ოთხშაბათს ელის.

ხმელთაშუაზღვის კუნძულზე ბოსნიელებთან დაპირისპირება, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ აინტერესებდათ — დედაქალაქის ცნობილი სტადიონი „ტა ქალი“ მცირედით გაივსო.

მიუხედავად გულშემატკივართა სიხალვათისა, მატჩი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და გულშემატკივართა გასახარად, მალტელთა გამარჯვებით დასრულდა, თუმცა...

ის-ის იყო, მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათი უნდა მიწურულიყო, რომ ჰასან სალიჰამიჯიჩმა სტუმრები დააწინაურა. მიუნხენის „ბაიერნის“ თავდამსხმელმა შანსი ხელიდან არ გაუშვა და მასპინძელთა უხეშ თამაშს საჯარიმოდან გატანილი გოლით უპასუხა — 0:1. მთლიანობაში პირველმა ტაიმმა სტუმართა უპირატესობით ჩაიარა — ბოსნიელები დომინირებდნენ და გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობაც ჰქონდათ. მასპინძელთა კარის დარაჯი ერნსტ ბარი ყოჩაღობდა, თუმცა ისეც ხდებოდა, რომ თავდამსხმელები სცოდავდნენ.

შესვენების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. მალტელებმა თამაშის სადავეები ხელთ იგდეს და იმარჯვეს კიდეც.

სანამ გამარჯვების მომტან გოლზე ვიტყოდით, კარაბოტის ბურთიც აღვნიშნოთ — დავიდ კარაბოტმა კარმენ ბუზუტილის საჯარიმოში ჩაწოდებულს თავი მარჯვედ დაჰკრა და გააყაიმა.

მეორე ტაიმში მალტელებმა ბრაიან საიდი ჩართეს თამაშში და ბოსნიელებსაც გაუჭირდათ. 65-ე წუთზე კი ნიჰად პეიკოვიჩმა, ბოსნიელთა მეკარემ, რეზად რეპუხის წაქცევისთვის მინდორი დატოვა. წესის დარღვევა საჯარიმოს გარეთ მოხდა.

გოლი კი, რომელმაც გამარჯვებული გაარკვია, პეიკოვიჩის შემცვლელი, ადმირ ჰასანიჩის ნაცვლად შესული მირსად დედიჩის შეცდომას მოჰყვა — მან კარბოტის დარტყმა უხეიროდ მოიგერია და ბუზუტილმაც გაიტანა.

# ზიზღისა და მაგნიტის ამბავი

**ბორდო**

დაარსდა 1881 წელს
საფრანგეთის ჩემპიონი: 1950, 1984, 1985, 1987
თასის მფლობელი: 1941, 1986, 1987
სტადიონი: „სტად ლესკიური", 32 500. სარეკორდო დასწრება 40 200 (ბორდო — იუვენტუსი, 1985 წლის 24 აპრილი)
მწვრთნელი: ელი ბოპი
ყველაზე მეტი მატჩი ლიგაში: ალენ ჟირესი 519
ყველაზე მეტი გოლი: ალენ ჟირესი 158

**მარსელი**

დაარსდა 1899 წელს
საფრანგეთის ჩემპიონი: 1937, 1948, 1971, 1972, 1989, 1990, 1992, 1993
თასის მფლობელი: 1924, 1926, 1927, 1935, 1938, 1943, 1969, 1972, 1976, 1989
ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი: 1993
სტადიონი: „სტადველოდრომი", 60 ათასი. სარეკორდო დასწრება 57 603 (მარსელი — პარი სენ ჟერმენი, 1998 წლის 8 აპრილი)
მწვრთნელი: როლან კურბისი
ყველაზე მეტი მატჩი ლიგაში: როჟე სკოტი 360
ყველაზე მეტი გოლი: გუნარ ანდერსონი 169

## BORDEAUX vs MARSEILLE

ყოველთვის როდესაც ბორდოში, „სტად ლესკიურზე" მარსელის „ოლიმპიკი" ჩადის, დიდი ომი იმართება. გამონაკლისი არც დღევანდელი საღამო უნდა იყოს. მოძულენი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 71-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს.



REUTERS ფოტოქრონიკა

სამშაბათს გარდაცვლილი კლოდ ბეზი

ბორდოელებს შინ ყოჩაღობა სჩვევიათ — 23-ჯერ გაიმარჯვეს მარცხი კი სულ სამჯერ იწვნიეს: ბოლოს 1978 წელს.

ისტორია სათავეს 1937 წელს მარსელის სტადიონზე, საფრანგეთის თასის პირველი რაუნდის მატჩით იღებს. იმ შეხვედრაში მარსელელებმა დამატებით დროში გაიმარჯვეს 4:2. პირველი სკანდალიც მაშინვე მოხდა: მასპინძლებმა შეიტყვეს, რომ ბორდოს გუნდში ერთი არარეგისტრირებული ფეხბურთელი თამაშობდა.

გავიდა ექვსი წელიწადი და მეტოქეებს საფრანგეთის თასის ფინალურ შეხვედრაში მოუხდათ ერთმანეთის პირისპირ წარდგომა. გუნდებმა ორ-ორი გოლი გაუტანეს ერთმანეთს, მერე კი ისევ სკანდალი ატყდა: თურმე ბორდოელთა ფეხბურთელი, გვარად ნემური დისკვალიფიცირებული ყოფილა, არადა, თამაშობდა. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ „მარსელი" გამარჯვებულად გამოაცხადა, თუმცა ერთი ხნის მერე მაინც გადათამაშება დანიშნა. „ბორდომ" გადათამაშება 0:4 წააგო.

ყველაზე დრამატული წელიწადი 1951 გახლდათ. „ბორდომ" „მარსელს" ჯერ 6:1 სძლია, ხოლო შემდეგ „სტად ველოდრომზე" კი 0:6 წააგო.

გუნდებს შორის მტრობამ მწვერვალს მაინც 80-იან წლებში მიაღწია. ამაში უდიდესი წვლილი პრეზიდენტებმა შეიტანეს. იმ ხანად „ბორდოს" სათავეში სამშაბათს გარდაცვლილი კლოდ ბეზი მივიდა, „მარსელს" კი ყბადაღებული ბერნარ ტაპი გაუძღვა.

და „ბორდომ" ზედიზედ ორჯერ მოიგო ეროვნული თასი. ეს 1986 და 1987 წლებში მოხდა. ორივეჯერ, ფინალურ შეხვედრაში ჟირონდელებმა „მარსელს" სძლიეს. ორივეჯერ გადამწყვეტი გოლი ალენ ჟირესმა გაიტანა და რაც ყველაზე საინტერესოა, მომდევნო წელიწადს იგი სწორედ „მარსელში" გადავიდა.

ჟირესის „მარსელში" გადასვლამ ენითაუწერელი აჟიოტაჟი გამოიწვია. ბეზი დიდ ფეხბურთელს მოღალატეს უწოდებდა და აცხადებდა, რომ არასდროს აპატიებდა „ლესკიურის" პატარა პრინცად წოდებულს ამ საძაგელ საქციელს.

1988 წლის აპრილში ჟირესი ბორდოს სტადიონზე „მარსელის" ფორმით ჩავიდა. გულშემატკივარი საშინელი სტვენით შეხვდა ერთი წლის წინანდელ კერპს, ყოფილმა თანაგუნდელმა ჟერნო რორმა კი საშინელი სარმა გამოსდო და დააშავა. რორი, ბუნებრივია, მსაჯმა მოედნიდან გააძევა, მაგრამ ქომაგთა შელახული თავმოყვარეობა უკვე დაკმაყოფილებული იყო. რაც მთავარია ყველას სწამდა, რომ მცველს ჟირესის წინააღმდეგ უხეშობა არც მეტი, არც ნაკლები აწგარდაცვლილმა ბეზმა დაავალა. „ბორდომ" იმ შეხვედრაში 3:0 მოიგო.

1990 წელს გამომწვევი ქცევით ცნობილი ბეზი მარსელის „სტად ველოდრომს" „კადილაკით" და დაცვის ბრგე ბიჭებით გარშემორტყმული მიადგა. მარსელელებმა რაიმეს ჩადენა ვერ მოახერხეს, მაგრამ ბეზის ქცევა გულში ჩაიხვიეს.



საფრანგეთის პირველობის ბომბარდირთა ლიდერი, ბორდოელი ლილიან ლასლანდი ოდინდელი მტრის დასახვედრად ემზადება

1996 წელს „მარსელის" ყოფილ ვარსკვლავს, იმ წელიწადს „ბორდოში" მისულ ჟან პიერ პაპენსა და მაშინ ბორდოელ ქსავიე გრაველენს შორის „სტად ლესკიურზე" დიდი ჩხუბი ატყდა. იმ შეხვედრაში „ბორდომ" აშკარად აჯობა „მარსელს". ერთ-ერთ ეპიზოდში, მოედნის ცენტრში დანიშნული ჯარიმის დროს პაპენი და დღეს „პარი სენ ჟერმენის" თავდამსხმელი გრაველენი შელაპარაკდნენ. კამათი იმით დამთავრდა, რომ წითელ ბარათებს ნაჩვევმა გრაველენმა პაპენს მუშტი მოსდო და წარბი გაუხეთქა. პაპენი საავადმყოფოში გააქანეს, გრაველენი — გასახდელში.

და მაინც, კონფლიქტებზე და სკანდალებზე უფრო საინტერესო ერთი უცნაური გარემოება გახლავთ: „ბორდო" მაგნიტივით იზიდავს „მარსელის" ფეხბურთელებს, „მარსელი" კი „ბორდოსას". ალბათ იშვიათია არათუ მტრად მოკიდებული, არამედ დამოყვრებული გუნდებიც კი, ამდენი საერთო ფეხბურთელი რომ ჰყოლოდათ: ჟან ტიგანა, ალან როში, ფილიპ ვერკრუისი, ბერნარ პარდო, პატრიკ კოლეტერი, პეტერ ლუკინი, პატრიკ ბლონდო, მარიუს ტრეზორი, ერიკ კანტონა, ბერნარ ჟენგინი...

მეტიც, თვით როლან კურბისი, „მარსელის" მწვრთენლი, იქამდე „ბორდოს" ედგა სათავეში. დღეს კი იგი „სტად ლესკიურზე" მოსაგებად ჩავიდა.

**მიხეილ სურგულაძე**

# ფრანგთა ნავაჭრი

საფრანგეთში ზამთრის ტრანსფერები შუა დეკემბერში დაიწყო და 31 იანვრამდე გასტანს. დღეისთვის მსოფლიოს ჩემპიონთა ქვეყანაში ფეხბურთელებით ვაჭრობის შედეგები ასეთია:

### საფრანგეთიდან უცხოეთში:

| | | |
|---|---|---|
| ტიერი ანრი, თავდამსხმელი | „მონაკოდან" | „იუვენტუსში" (იტალია) |
| პატრიკ კოლეტერი, მცველი | „მარსელიდან" | „საუთჰემპტონში" (ინგლისი) |
| ლუი საჰა, ნახევარმცველი | „მეციდან" | „ნიუკასლ იუნაიტედში" (ინგლისი) |
| დიდიე დომი, მცველი | პსჟ-დან | „ნიუკასლ იუნაიტედში" (ინგლისი) |
| მოჰამედ კონჯიჩი, მცველი | „მონაკოდან" | „ქოვენთრი სიტიში" (ინგლისი) |
| ლორან ვიო, ნახევარმცველი | „რენიდან" | „ესტრემადურაში" (ესპანეთი) |

### უცხოეთიდან საფრანგეთში:

| | | |
|---|---|---|
| პედრო რეიესი, მცველი | „კოლო კოლოდან" (ჩილე) | „ოსერში" |
| მიკაელ მადარი, თავდამსხმელი | „ევერტონიდან" (ინგლისი) | პსჟ-ში |
| ჟან გი ვალემი, მცველი | „ქოვენთრი სიტიდან" (ინგლისი) | „სოშოში" |
| კრისტოფ ორლავილი, თავდამსხმელი | „პორტ ვეილიდან" (ინგლისი) | „მეცში" |
| ჩირეშუა გუელი, ნახევარმცველი | ASEC-დან (ნიგერია) | „მარსელში" |
| ედსონი, მცველი | „სპორტ რესიფედან" (ბრაზილია) | „მარსელში" |

### საფრანგეთიდან საფრანგეთში:

| | | |
|---|---|---|
| სტეფან კასარი, მეკარე | „ლე ავრიდან" | „მონპელიეში" |
| ქსავიე მერიდი, მცველი | „ლანსიდან" | „ტულუზში" |
| კრისტოფ ლე გრი, ნახევარმცველი | „მეციდან" | „ლორიანში" |
| ბრუნო როდრიგესი, თავდამსხმელი | „მეციდან" | პსჟ-ში |
| ნიკოლა ლასპალი, მცველი | პსჟ-დან | „ლანსში" |
| ნიკოლა უედეკი, თავდამსხმელი | პსჟ-დან | „მონპელიეში" |
| ქსავიე გრაველენი, თავდამსხმელი | „მონპელიედან" | პსჟ-ში |
| მარკ ზინოტი, თავდამსხმელი | „ნანსიდან" | „სენტ ეტიენში" |
| კრისტოფ ლე რუ, თავდამსხმელი | „ნანტიდან" | „რენში" |
| მიკაელ მარსიგლია, მცველი | „კანიდან" | „სტრასბურში" |

## ინგლისი

### ლიგის თასის ნახევარფინალი. პირველი შეხვედრა

**ტოტენჰემი 0:0 უიმბლდონი**

ტოტენჰემი: უოქერი, კარი, ვეგა, კემპბელი, ედინბურგი, ანდერტონი, ნილსენი, ფროინდი, ჟინოლა (სინტონი 59), არმსტრონგი (ფერდინანდი 60), ივერსენი
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, პერი, ბლექველი, თეთჩერი, ერდლი (კ. ჰიუზი 89), ერლი, რობერტსი, მ. ჰიუზი, ეკოკუ, იუელი (ლიბერნი 83)
გაფრთხილება: მ. ჰიუზი
მსაჯი: დანი

ინგლისში, გასათამაშებელ თასთაგან უფრო არაპრესტიჟულის — ლიგის თასის მეორე ნახევარფინალი გაიმართა. პირველში, სამი დღის წინ, პრემიერლიგური „ლესტერი" პირველი დივიზიონის ლიდერ „სანდერლენდს" ეწვია და 2:1 მოუგო.

„უაით ჰართ ლეინზე" „ტოტენჰემმა" მეორე ლონდონურ გუნდ „უიმბლდონს" უმასპინძლა და მიუხედავად უპირატესობისა, ვერაფერი დააკლო.

არადა, მოგება შეეძლო. ამისთვის დარენ ანდერტონს, ლეს ფერდინანდს და დავიდ ჟინოლას მეტი ფხა უნდა გამოეჩინათ, მაგრამ რატომღაც უგულოდ ირჯებოდნენ. შესვენებაზე ჯორჯ გრემმა თავისიანებს კი დაუცაცხანა, ცოტა გამოფხიზლდითო, თუმცა „უიმბლდონს" უკვე მორგებული ჰქონდა გასაღები მეტოქის შეტევებზე და ამავდროულად წინ წასვლაზე არც ფიქრობდა. ამ ტაქტიკამ საბოლოოდ გაამართლა — ბურთი არც ერთ კარში არ გასულა და „ტოტენჰემმაც" განმეორებითი მატჩისთვის მეტად უნდა ინერვიულოს.

### ასოციაციის თასი. მეოთხე წრე

**შეფილდ იუნაიტედი 4:1 კარდიფი**

1:0 დევლინი (13), 1:1 ნაგენტი (19), 2:1 ჰოლდსვორსი (52), 3:1 მორისი (58), 4:1 სტიუარტი (68)

შეფილდი: კელი, ბორბოკისი (ფორდი 60), ქუინი, დერი, სენდფორდი, ჰოლდსვორსი, ვუდჰაუსი (ჰენრი 78), ტვისი (მორისი 46), მარსელო, დევლინი, სტიუარტი
კარდიფი: ჰელვორსი, დელანი, ფორდი, მიჩელი, ეკჰარდტი, კარპენტელი, ფაულერი, ო'სალივანი (ლეგი 60), უილიამსი (ბოუენი 60), ნაგენტი, მიდლტონი (ჰილი 65)
გაფრთხილება: მიდლტონი
მსაჯი: ვინტერი

ამ მატჩზე საუბარი პატარა განმარტებით უნდა დავიწყოთ, რათა უელსური კლუბის ინგლისის თასზე მონაწილეობამ არ დაგაბნიოთ. საქმე ის არის, რომ ადრე უელსში მხოლოდ თასის გათამაშება ტარდებოდა. ამიტომ იქაური გუნდები ინგლისის სხვადასხვა დივიზიონებში იყვნენ მიმოფანტულნი. შემდეგ უელსში ლიგა შეიქმნა და ჩემპიონატის ჩატარებაც შესაძლებელი გახდა, ოღონდ მასში რამდენიმე კლუბმა, მათ შორის „კარდიფ სიტიმ", არ ისურვა მონაწილეობა და ინგლისში აგრძელებს თამაშს. დღესდღეობით, უელსელები მესამე დივიზიონში გამოდიან.

ამიტომაც ცოტა გასაკვირი იყო, როდესაც საკუთარ კარში ნაადრევად მიღებულმა გოლმა „კარდიფის" ფეხბურთელები არ დააბნია, ნელ-ნელა მათ უპირატესობაც მოიპოვეს და რამდენიმე წუთში კევინ ნაგენტის გოლის წყალობით წონასწორობაც აღადგინეს.

პირველდივიზიონელი შეფილდელები მხოლოდ შესვენებაზე მოვიდნენ გონს და მეორე ტაიმში ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეს.

მასპინძლები კაპიტანმა დევიდ ჰოლდსვორსმა დააწინაურა ვას ბორბოკისის მოწოდებული კუთხურის შემდეგ. მერე წარსულში ინგლისის მასშტაბით ცნობილი ფეხბურთელის კოლინ მორისის ვაჟმა ლიმ გამოიჩინა თავი, ხოლო სტადიონზე მისული 13 ათასი ქომაგის საბოლოოდ გახარების პატივი გრემ სტიუარტს ხვდა წილად. საგოლე, საკმაოდ ლამაზი გადაცემა მარსელოს ეკუთვნოდა.

## შოტლანდია

### XXII ტური

**დანდი 0:4 რეინჯერსი**

0:1 მილერი (8), 0:2 გივარში (12), 0:3 მილერი (43), 0:4 იოჰანსონი (76)

„დენს პარკზე“, სადაც უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლმა „დანდიმ“ ლიდერ „რეინჯერსს“ უმასპინძლა, ყველაფერი მოულოდნელად მალე, უკვე მე-11 წუთზე გაირკვა. იმ დროისთვის მრისხანე გლაზგოელები 2:0-ს იგებდნენ და ნათელი იყო, რომ მატჩისწინა პროგნოზები ასი პროცენტით გამართლდებოდა ანუ „დანდი“ თავს შეირცხვენდა.

ანგარიში დისკვალიფიცირებული ჰოლანდიელის, გამთამაშებელ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის ნაცვლად ძირითადში მოხვედრილმა ჩარლი მილერმა გახსნა, ზუსტად სამ წუთში კი ნილ მაკკენის „ქროსს“ პირველი ფრანგი ფორვარდი სტეფან გივარში გამოეხმაურა და სტუმრები უფრო დააწინაურა. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ სამშობლოსა და „ნიუკასლში“ არცთუ კარგი თამაშის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში სასწაულების ჩამდენმა გივარშმა (ბრაზილიელებს ცარიელ კარში ვერ უტანდა), როგორც იქნა თავისი ადგილი იპოვა და რა ხანია მინდორი უგოლოდ არ დაუტოვებია.

პირველი ტაიმის მიწურულს იმავე მილერმა მეორედ გაიხარა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მეტოქის საჯარიმოში რუსმა ანდრეი კანჩელსკისმა იაქტიურა.

ს. ხოლოო ანგარიში გივარშის ნა- [illegible] შესულმა ფინეთის ნაკრების [illegible] ითმა ლიდერმა ჯონათან იოჰანსონმა დააფიქსირა.

რაც შეეხება „დანდის“, კმაყოფილი უნდა იყოს მეტი რომ არ გაუშვია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 22 | 14 | 5 | 3 | 43:19 | 47 |
| კილმარნოკი | 21 | 11 | 7 | 3 | 30:12 | 40 |
| სელტიკი | 21 | 9 | 7 | 5 | 44:22 | 34 |
| სტ. ჯონსტონი | 22 | 8 | 9 | 5 | 28:28 | 33 |
| მოზერველი | 22 | 6 | 8 | 8 | 21:29 | 26 |
| ჰართსი | 22 | 6 | 6 | 10 | 22:29 | 24 |
| აბერდინი | 22 | 6 | 6 | 10 | 23:35 | 24 |
| დანდი | 22 | 6 | 5 | 11 | 20:36 | 23 |
| დანდი იუნ. | 22 | 5 | 7 | 10 | 22:27 | 22 |
| დანფერმლაინი | 22 | 2 | 12 | 8 | 17:33 | 18 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ლარსონი (სელტიკი) | 14 |
| უოლესი (რეინჯერსი) | 13 |
| ჯესი (აბერდინი) | 11 |

## ბელგია

### გამოტოვებული მატჩი

**სტანდარდი 2:4 გენკი**

სტანდარდი: რუნიე, ბლეი, ერნსტი, აფოლაბი, ჰელერსი, ლუკუნკუ, ფოლია (ტიისი 70), დე კონდე, მბო მპენზა, გოდფრუა (რემაკლი 80), ემილ მპენზა

1:0 ე. მპენზა (20), 1:1, 1:2 სტრუპარი (36, 48), 1:3 გუდიონსონი (51), 1:4 ულარი (65), 2:4 ბლეი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 21 | 13 | 5 | 3 | 48:25 | 44 |
| ბრიუგე | 21 | 13 | 4 | 4 | 38:22 | 43 |
| ლოკერენი | 21 | 11 | 4 | 6 | 45:30 | 37 |
| მუსკრონი | 21 | 10 | 7 | 4 | 45:33 | 37 |
| გენტი | 21 | 10 | 7 | 4 | 38:36 | 37 |
| ანდერლეხტი | 20 | 10 | 5 | 5 | 39:30 | 35 |
| სტანდარდი | 21 | 10 | 2 | 9 | 32:26 | 32 |
| ეკერენი | 21 | 9 | 4 | 8 | 35:33 | 31 |
| ვესტერლო | 21 | 9 | 3 | 9 | 43:37 | 30 |
| ლიერსი | 21 | 9 | 3 | 9 | 39:34 | 30 |
| სტ. ტრუიდენი | 20 | 8 | 6 | 6 | 28:24 | 30 |
| აალსტი | 21 | 7 | 5 | 9 | 30:37 | 26 |
| ჰარელბეკი | 21 | 5 | 8 | 8 | 26:34 | 23 |
| შარლერუა | 20 | 4 | 8 | 8 | 26:31 | 20 |
| ლომელი | 21 | 5 | 4 | 12 | 23:34 | 19 |
| ბევერენი | 20 | 4 | 4 | 12 | 22:36 | 16 |
| კორტრაიკი | 21 | 3 | 5 | 13 | 30:53 | 14 |
| ოსტენდე | 21 | 2 | 6 | 13 | 19:51 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კოლერი (ლოკერენი) | 14 |
| ულარი (გენკი) | 12 |
| იანსენი (ვესტერლო) | 12 |
| ვან მეირი (ლიერსი) | 11 |
| ბრონიო (ვესტერლო) | 10 |

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

**ინტერი 5:2 ლაციო**

0:1 ვიერი (9), 1:1 კოე (12), 2:1 ჯორკაეფი (25), 2:2 ლომბარდო (34), 3:2 ჯორკაეფი (69), 4:2 ზე ელიასი (83), 5:2 მორიერო (90)

**პარმა 4:0 უდინეზე**

1:0 ვერონი (14), 2:0, 3:0 კრესპო (18, 74), 4:0 ბალბო (90)

ოთხშაბათის მეოთხედფინალები საცქერლად საამო იყო. მსოფლიოში, ალბათ, ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა კლუბებმა ლამაზი ფეხბურთი გაარალეს და ქომაგები ერთობ ასიამოვნეს. „ინტერიც“ და „პარმაც“ ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.

თავდაპირველად „პარმამ“ უმასპინძლა უდინელ მეტოქეს. უმასპინძლა და მთელ დუნიაზე მოჭრა თავი — „უდინეზე“, რომელიც პირველ მატჩში 3:2 მოგების შემდეგ ნახევარფინალში გასვლას იმედოვნებდა, შერცხვა. უფრო სწორად, არგენტინელებმა შეარცხვინეს — ხუან სებასტიან ვერონმა, ერნან კრესპომ ორჯერ და აბელ ბალბომ, დაამწუხრეს სტუმრები.

ანგარიში ვერონმა გახსნა, რომლის დაახლოებით 35 მეტრიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი უდინელთა მეკარის ლუიჯი ტურჩის კარში შევარდა. მეტოქეს არც ერნან კრესპომ დააკლო რამე და საკმაოდ ბევრი უშედეგოდ დასრულებული თავდასხმის შემდეგ 2:0 გახდა. მან ანტონიო ბენარივოს უხეშად მოგერიებულ ბურთს დაამატა.

პირველი ტაიმის მიწურულს მსაჯმა ლუიჯი ტურჩი გააგდო — მეკარემ, რომელიც „პარმას“ სამხრეთამერიკელ თავდამსხმელ ბალბოსთან პირისპირ დარჩა, საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა.

„უდინეზეს“ ძირითადი მეკარე ვერ შველიდა და სათადარიგოს რა უნდა ექნა? მალე კრესპომ დუბლი შეასრულა, შემდეგ კი სერია A-ში დაბერებულმა აბელ ბალბომ აიღო ტურჩის კარი. იტალიის თასის 1992 წლის მფლობელი ნახევარფინალში გავიდა.

უდინელთ ერთადერთი შანსი 23-ე წუთზე ჰქონდათ, თუმცა „სკუადრა ატურას“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონს ბელგიელი იოჰან ვალემის შორიდან დარტყმული ბურთის მოგერიება არ გასჭირვებია.

ოთხშაბათსვე, თუმცა ცოტა მოგვიანებით, „სან სიროზე“ ბრწყინვალე ფეხბურთი შედგა — „ინტერმა“ სერია A-ში ზედიზედ შვიდი მატჩის მომგებ „ლაციოს“ უმასპინძლა და 5:2 გაანადგურა. მილანელთათვის ეს შინ დიდი ანგარიშით მოგებული ზედიზედ მესამე შეხვედრა გახლდათ.

უსწრაფესი თამაში, თავბრუდამხვევი შეტევები, ელვისებური დარტყმები, მეკარეთა ოსტატობა, თავდამსხმელთა დრიბლინგი, ლამაზი გოლები, მაყურებელთა ოვაცია — ეს ყველაფერი „ინტერ“-„ლაციოს“ დაპირისპირებას თან სდევდა. მართლაც ლამაზი შეხვედრა გახლდათ.

და მაინც, თავდაპირველად „ლაციო“ დაწინაურდა — კრისტიან ვიერიმ ფავალის მიწოდებული ბურთი თავური დარტყმით კარში შეაგდო.

კიდევ ცოტაც და ლუკა მარკეჯანის მიერ მიტოვებულ კარში მილანელთა ფრანგმა ლეგიონერმა ბენუა კოემ ბურთი აფრინა — მანამდე „ლაციოს“ საჯარიმოსთან დიდი არეულობა იყო. კოემ სწორედ მეტოქის დაბნეულობით ისარგებლა.

25-ე წუთზე მსოფლიოს ჩემპიონმა იური ჯორკაეფმა გაიტანა დიდებული ბურთი, თუმცა ინგლისური „კრისტალ პალასიდან“ დაბრუნებულმა ატილიო ლომბარდომ, ახალი კლუბის შემადგენლობაში პირველად რომ თამაშობდა გააყაიმა 2:2.

მეორე ტაიმში პალიუკამ სასწაული ჩაიდინა, როცა სამ წუთში ზედიზედ დაამწუხრა ჯუზეპე პანკარო, ივან დე ლა პენია და გუერინო გოტარდი.

საბოლოო მაინც „ინტერმა“ იმარჯვა — იური ჯორკაეფმა (კიდევ ერთხელ), ზე ელიასმა და ფრანჩესკო მორიერომ სხვაობა სამ გოლამდე გაზარდეს.

მილანელთა ბრწყინვალე გამარჯვების შემოქმედი ბევრი ცნობილი მწვრთნელთაგან უარყოფილი რობერტო ბაჯო გახლდათ.

## ფეხბურთელთა მდუმარება

ბოლოდროინდელი კრიტიკით დატანჯული მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელები ესპანელ ჟურნალისტებს პროტესტის ნიშნად აღარ დაელაპარაკებიან. მათ საგანგებო განცხადება გაავრცელეს, სადაც აღნიშნეს, რომ მომავალ გადაწყვეტილებამდე კრინტსაც არ დაძრავენ.



კრისტიან პანუჩი

ყველაფერი გასული ტურის სამარცხვინო მატჩმა, „დეპორტივო ლა კორუნიასთან“ 0:4 წაგებამ გამოიწვია. ამ მარცხმა „სამეფო გუნდი“ კვლავ მისთვის შეუფერებელ, მეექვსე ადგილზე დატოვა.

როგორც ამბობენ „სიჩუმის აქციის“ ავტორები მცველები, ფერნანდო იერო და იტალიელი კრისტიან პანუჩი არიან. „რეალის“ ვიცეპრეზიდენტმა ხუან ონიევამ აქციასთან დაკავშირებით განაცხადა:

„ფეხბურთელებს უფლება აქვთ პროტესტის ხერხად დუმილს მიმართონ, თუმცა, მე თუ მკითხავთ, მათი გადაწყვეტილება ნაჩქარევია“.

კლუბის პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა ოთხშაბათს, ვარჯიშის შემდეგ გასახდელში, ფეხბურთელებთან 15 წუთი დაჰყო და სცადა მათთვის განემარტა, რომ ისინი თავს სასაცილოდ იგდებენ.

კვირის დასაწყისში ნახევარმცველი ხოსე მარია გუტიერესი, იგივე გუტი ამბობდა: „ჩვენს გუნდში ერთსულოვნება არ არის“.

მართლაც, ყველამ შენიშნა ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფისა და იუგოსლაველი პრედრაგ მიატოვიჩის კონფლიქტი „დეპორტივოსთან“ მატჩის დროს.



ფერნანდო იერო

ამ ეპიზოდს ტელევიზიით წამდაუწუმ იმეორებდნენ.

მადრიდულმა სპორტულმა გაზეთმა „მარკამ“ „რეალის“ მოთამაშეთა ფინანსებზეც გვარიანად იხუმრა, რომელმაც გუშინდელ ნომერში ფეხბურთელების შარჟები გამოაქვეყნა, სადაც ისინი ცნობილ კომიკურ პერსონაჟებს არიან მიმსგავსებული. ერთ-ერთი მათგანი ფიფქიას ამალის ერთ-ერთ ჯუჯას, დოპის ჰგავს.

## ერთით ქვემოთ

FIFA WORLD RANKING

1993 წლის აგვისტოში ფიფამ პირველად გამოაქვეყნა მსოფლიოს საფეხბურთო ნაკრებთა თავისეული ვარიანტი. მის შემდეგ ხუთნახევარი წელიწადი გავიდა. ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა სხვა რეიტინგებისგან განსხვავებით, ფიფას ვერსია მუდამ პრესტიჟული რჩებოდა. ამის მთავარი მიზეზი ქულათა დათვლის მახვილგონივრული სისტემა გახლდათ.

27 იანვარს მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ რეიტინგის განახლებული ვარიანტი გამოაქვეყნა. 1999 წელს ბევრი გუნდი სიახლეებით შეხვდა.

ადგილი იცვალა საქართველოს ნაკრებმაც. მან ერთი საფეხურით დაბლა დაიწია — თუ შარშან დეკემბერში ჩვენი გუნდი 52-ე იყო, ახლა 53-ეა. უკუსვლა იმითაა გამოწვეული, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა ნაკრების დონეზე, ამ პერიოდში ერთი შეხვედრაც ვერ ჩაატარეს. მეტოქეებმა კი ითამაშეს და წარმატებითაც.

სხვათა შორის ფიფას რეიტინგის ქულათა დათვლის წესებში ცვლილებებია. ახლა წელიწადში ნათამაშევი რვა საუკეთესო შედეგი კი არა, შვიდი მიიღება მხედველობაში. ასევე ფიფა გაითვალისწინებს რვა წლის მანძილზე გამართულ მატჩების შედეგებს, ნაცვლად აქამდე დადგენილი ექვსი წლის მაჩვენებლისა. ასევე გაუქმდა მეათედი ქულების დათვლის სისტემა.

რაც შეეხება თავად რეიტინგს, იგი ასე გამოიყურება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბრაზილია | 829 | | რუსეთი | 580 |
| 2. | საფრანგეთი | 787 | 32. | ეგვიპტე | 578 |
| 3. | იტალია | 745 | 33. | იაპონია | 569 |
| | ხორვატია | 745 | 34. | უკრაინა | 568 |
| 5. | გერმანია | 742 | | კორეა | 568 |
| 6. | არგენტინა | 733 | 36. | საუდეთი | 565 |
| 7. | ჩეხეთი | 726 | 37. | ზამბია | 563 |
| 8. | ჰოლანდია | 720 | 38. | ისრაელი | 562 |
| 9. | ესპანეთი | 703 | 39. | იამაიკა | 561 |
| 10. | რუმინეთი | 698 | 40. | კოტ დივუარი | 553 |
| 11. | ინგლისი | 697 | 41. | განა | 547 |
| 12. | მექსიკა | 690 | 42. | კამერუნი | 536 |
| 13. | ნორვეგია | 678 | | თურქეთი | 536 |
| 14. | შვედეთი | 652 | 44. | ირლანდია | 535 |
| 15. | დანია | 648 | 45. | უნგრეთი | 533 |
| 16. | იუგოსლავია | 643 | 46. | საბერძნეთი | 530 |
| 17. | პორტუგალია | 636 | | ირანი | 530 |
| 18. | ავსტრია | 633 | 48. | ლიტვა | 526 |
| 19. | მაროკო | 632 | 49. | ქუვეითი | 525 |
| 20. | ჩილე | 616 | 50. | ავსტრალია | 520 |
| 21. | ბელგია | 610 | 51. | დრ კონგო | 514 |
| 22. | პარაგვაი | 608 | 52. | ჩინეთი | 513 |
| 23. | აშშ | 605 | 53. | ფინეთი | 512 |
| 24. | ს.აფრიკა | 603 | | საქართველო | 512 |
| | სლოვაკეთი | 603 | 55. | საამიროები | 503 |
| 26. | შოტლანდია | 602 | 56. | ბოლივია | 499 |
| 27. | კოლუმბია | 593 | 57. | ნიგერია | 493 |
| 28. | ტუნისი | 592 | 58. | მაკედონია | 492 |
| 29. | პოლონეთი | 584 | 59. | ანგოლა | 489 |
| 30. | ბულგარეთი | 580 | 60. | ისლანდია | 488 |

## საფრანგეთის არსენალი

**ინგლისის** ჩემპიონმა და თასის მფლობელმა ლონდონის „არსენალმა“ კიდევ ერთი ფრანგი ლეგიონერის შეძენა გადაწყვიტა. ამჯერად ლონდონელებს „ბორდოს“ 23 წლის მოთამაშე კაბა დიავარა შეუგულებიათ. დიავარამ ამ სეზონში „ბორდოს“ შემადგენლობაში ხუთი გოლის გატანა მოახერხა. „ბორდოს“ მწვრთნელმა ელი ბოპმა განაცხადა, რომ თუ დიავარა სეზონის ბოლომდე ფრანგულ კლუბში დარჩება, სათადარიგოთა სკამს ვერ მოშორდება. ფეხბურთელმა დარჩენა-არდარჩენის საკითხი დღეს საღამომდე უნდა გაარკვიოს. ტრანსფერის სავარაუდო ფასი 4,9 მილიონი დოლარია. შეგახსენებთ, რომ „არსენალს“ ფრანგი არსენ ვენგერი წვრთნის. ამის გარდა კლუბში ექვსი ფრანგი თამაშობს — პატრიკ ვიეირა, ნიკოლას ანელკა, ემანუელ პეტი, დავიდ გრონდინი, რემი გარდე და ჟილ გრიმანდი.

## თურქეთი

### თასის მეოთხედფინალი

პირველი მატჩები

**კოჯაელი 1:2 ბეშიქთაში**

**გაზიანთეფი 1:0 ანკარაგიუჯიუ**

**ერზურუმი 2:1 საქარია**

**ისთანბული 0:0 გალათასარაი**

### ამხანაგური მატჩი

**ვენესუელა 1:1 დანია**

0:1 სანდი (55), 1:1 რეი (65)

დანიელებმა სამხრეთამერიკული ტურნეს მეორე მატჩიც ფრედ დაასრულეს. პირველ შეხვედრაში მათ ასევე ფრედ 1:1 ითამაშეს კოლუმბიასთან.

## ბრაზილია

### II ტური

**რიო — სან პაულუს ტურნირი**

I ჯგუფი

**ვასკუ და გამა 2:4 ფლუმინენსე**

**სანტოსი 3:1 პალმეირასი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ვასკუ და გამა | 2 | 1 | 0 | 1 | 7:5 | 3 |
| ფლუმინენსე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| პალმეირასი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:8 | 0 |

ჯგუფში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში გადიან.

**პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატი**

I ჯგუფი

**ბარბარენსე 0:1 პორტუგეზა**

**სან ჟოზე 0:0 იტუანო**

**ინტერ. ლიმეირა 1:1 რიო ბრანკო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგეზა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| რიო ბრანკო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლიმეირა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბარბარენსე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| იტუანო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| სან ჟოზე | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

II ჯგუფი

**მატონენსე 2:1 პორტუგეზა სანტ.**

**გუარანი 1:0 მოგი მირიმი**

**არაკატუბა 2:2 უნიაო სან ჟოაო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არაკატუბა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| უნიაო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| მატონენსე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| გუარანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| მოგი მირიმი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პორტუგეზა სანტ | 2 | 0 | 0 | 1 | 2:5 | 0 |

ნახევარფინალში თითო ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **30 იანვარი** | | | |
| ბლექბერნი — ტოტენჰემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ქოვენთრი — ლივერპული | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ევერტონი — ნოტინგემი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| მიდლსბრო — ლესტერი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ნიუკასლი — ასტონ ვილა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| შეფილდ უენსდეი — დერბი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| საუთჰემპტონი — ლიდსი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| უიმბლდონი — ვესტ ჰემი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| **31 იანვარი** | | | |
| არსენალი — ჩელსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ჩარლტონი — მანჩესტერი | 5,6 | 3,0 | 1,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **30 იანვარი** | | | |
| ბოლტონი — ნორვიჩი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ქრიუ — შეფილდ იუნაიტედი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ჰადერსფილდი — ბრისტოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ოქსფორდი — ბარნსლი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ქუინზ პარკი — პორტსმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სტოკპორტი — ვულვერჰემპტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სვინდონი — ბერი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ტრანმერი — კრისტალ პალასი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| უოტფორდი — სანდერლენდი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| ვესტ ბრომვიჩი — გრიმსბი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| იფსვიჩი — პორტ ვეილი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| **31 იანვარი** | | | |
| ბირმინგემი — ბრედფორდი | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **31 იანვარი** | | | |
| უდინეზე — ბოლონია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| რომა — ემპოლი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| პიაჩენცა — ინტერი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| კალიარი — იუვენტუსი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| ბარი — ლაციო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| მილანი — სალერნიტანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| პერუჯა — სამპდორია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| პარმა — ვენეცია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ფიორენტინა — ვიჩენცა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **30 იანვარი** | | | |
| კიევო — ტრევიზო | 3,6 | 2,7 | 2,0 |
| **31 იანვარი** | | | |
| ჯენოა — ატალანტა | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| ჩეზენა — ბრეშა | 3,6 | 2,7 | 2,0 |
| ტორინო — კრემონეზე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| რეჯინა — ლეჩე | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| ლუკეზე — მონცა | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| კოზენცა — ნაპოლი | 3,4 | 2,7 | 2,1 |
| ფ. ანდრია — რავენა | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| რეჯანა — ტერნანა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| პესკარა — ვერონა | 2,4 | 2,7 | 2,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **30 იანვარი** | | | |
| ოვიედო — სოსიედადი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| მალიორკა — სალამანკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,7 | 2,9 | 3,5 |
| ატლეტიკო — ვალენსია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვილიარეალი — რეალი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ბილბაო — სარაგოსა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბეტისი — ალავესი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| **31 იანვარი** | | | |
| ტენერიფე — ესპანიოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| დეპორტივო — სელტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვალიადოლიდი — ესტრემადურა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბარსელონა — რასინგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **30 იანვარი** | | | |
| რეკრეატივო — კომპოსტელა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| ბარსელონა B — მალიორკა B | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ეიბარი — მალაგა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ლეგანესი — ლეიდა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| **31 იანვარი** | | | |
| ორენსე — სევილია | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| მერიდა — ნუმანსია ($15^{00}$) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბადახოსი — ლოგრონიესი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ოსასუნა — რაიო ვალეკანო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ერკულესი — ატლეტიკო B | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ალბასეტე — ლას პალმასი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ტოლედო — სპორტინგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **29 იანვარი** | | | |
| ბასტია — რენი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ბორდო — მარსელი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| მონაკო — პარი სენ ჟერმენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| **30 იანვარი** | | | |
| ლორიანი — ნანტი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ნანსი — მონპელიე | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ლანსი — ლიონი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| სტრასბური — ლე ავრი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სოშო — ოსერი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ტულუზი — მეცი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **29 იანვარი** | | | |
| ბეირა მარი — ბენფიკა | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| **30 იანვარი** | | | |
| ფარენსე — პორტუ | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| რიუ ავე — სეტუბალი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ბოავიშტა — კამპომაიორენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| **31 იანვარი** | | | |
| ამადორა — შავეში | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მარიტიმუ — ბრაგა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ალვერკა — ლეირია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სპორტინგი — აკადემიკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| **1 თებერვალი** | | | |
| გიმარაეში — სალგეირუში | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **29 იანვარი** | | | |
| ბრიუგე — ანდერლეხტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| **30 იანვარი** | | | |
| შარლერუა — ოსტენდე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| გენკი — გენტი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| ვესტერლო — ჰარელბეკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| მუსკრონი — ლოკერენი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბევერენი — ლიერსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სენტ ტრუიდენი — აალსტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| **31 იანვარი** | | | |
| კორტრაიკი — სტანდარდი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ეკერენი — ლომელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **29 იანვარი** | | | |
| ანკარაგიუჯიუ — ბეშიქთაში | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| **30 იანვარი** | | | |
| ქოჯაელი — სამსუნი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ფენერბაჰჩე — დარდანელი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| **31 იანვარი** | | | |
| ერზურუმი — გენჩლერბირლიგი ($14^{00}$) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| გაზიანთეფი — ტრაბზონი ($15^{30}$) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ანთალია — საქარია ($15^{30}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ქარაბუქი — ბურსა ($15^{30}$) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ისთანბული — ადანა ($15^{30}$) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ალთაი — გალათასარაი | 6,0 | 3,3 | 1,5 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **30 იანვარი** | | | |
| აბერდინი — რეინჯერსი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| დანდი იუნაიტედი — დანფერმლაინი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ჰართსი — მოზერველი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| კილმარნოკი — დანდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| **31 იანვარი** | | | |
| სელტიკი — სენტ ჯონსტონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| **29 იანვარი** | | | |
| აილენდერსი — ფინიქსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ვაშინგტონი — ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ტამპა ბეი — დალასი | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| **30 იანვარი** | | | |
| ბუფალო — ლოს ანჯელესი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ტორონტო — ვაშინგტონი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| მონრეალი — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ოტავა — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ნიუ ჯერსი — ნეშვილი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფილადელფია — ტამპა ბეი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| პიტსბურგი — ბოსტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფლორიდა — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| დეტროიტი — რეინჯერსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| კალგარი — სენტ ლუისი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კოლორადო — სან ხოსე | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ედმონტონი — ანაჰაიმი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ვანკუვერი — ჩიკაგო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| **31 იანვარი** | | | |
| ბოსტონი — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| მონრეალი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — ფინიქსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| **1 თებერვალი** | | | |
| ნიუ ჯერსი — დეტროიტი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| რეინჯერსი — ვაშინგტონი | 1,45 | 4,4 | 3,2 |
| ფილადელფია — ლოს ანჯელესი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ედმონტონი — სენტ ლუისი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ვანკუვერი — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — კალგარი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| სან ხოსე — ჩიკაგო | 1,6 | 4,4 | 2,7 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

---

**კალათბურთი**

## 10 ტური

**საქართველოს ჩემპიონატი**

## საუკეთესო მოთამაშე

### შოთა უძილაური

**-სდასუ-**



**შოთა უძილაურის სამქულიანებმა წელში გატეხა სტუ და სდასუ-ს გაამარჯვებინა**

**— სტუ-სთან მატჩის ბოლო წუთებში ძირითადად შენმა სამქულიანებმა გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. შენ ვის გამოყოფდი სდასუ-ს შემადგენლობიდან?**

— ბოლო 10 წუთი, ჩემი აზრით, ყველამ კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით გამოვყოფდი დავით თორთლაძეს, რომელსაც მეტოქის რამდენიმე კალათბურთელი იჭერდა და ამის გამო, ჩვენ, მისი თანაგუნდელები, ხშირად მეურვის გარეშე ვრჩებოდით.

**— თუ გჯეროდათ, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს დაამარცხებდით?**

— შეიძლება წაგვეგო კიდეც, მაგრამ თუ გამარჯვების არ გჯერა, წარმატებას ვერ მიაღწევ.

**— თუ მომავალშიც ასეთი თავდაჯერებით ითამაშებთ, გასულხართ ფინალში და ეგ არის.**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით, რადგან სტუ-ს გარდა არ მინახავს იმ გუნდების თამაშები, რომლებიც ფლეიოფში მოხვედრის კანდიდატებად ითვლებიან.

**— ბოლო ორი წლის განმავლობაში, შენ გერმანიის მეორე ლიგაში პადერბონის „ბორდოს" რიგებში გამოდიოდი. ქართული კალათბურთთან ორი წლის განშორებული ჩვენთან რეგრესს ხედავ თუ პირიქით?**

— რეგრესს და საგრძნობლად თვალშისაცემს. მარტო გათბობა და ცხელი წყალი არ კმარა. დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელია კალათბურთელი ანაზღაურების გარეშე მოედანზე მთლიანად დაიხარჯოს. ბევრს კი ჩვენს ლიგაში ერთ თეთრსაც არ უხდიან.

**— შენ რამდენს გიხდიან?**

— იმდენად ცოტას, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს.

**— თუ ჩვენებურებს ეწყინებათ, ის მაინც მითხარი, გერმანიაში რამდენს გიხდიდნენ?**

— თვეში ორი ათას მარკას.

**— ორი წელი ვისთვის ცოტაა და ვისთვის ბევრი. ამ ხნის განმავლობაში შენს შესახებ არაფერი გვსმენია. თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ შეგვახსენეთ შენი კარიერა.**

— დავიბადე ახმეტაში, 1970 წლის 30 ოქტომბერს. ვთამაშობდი თბილისის „მართვესა" და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში. 1987 წლიდან ვირიცხებოდი მოსკოვის ცსკა-ს დუბლებში. სხვადასხვა წლებში კი გამოვდიოდი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, „ვითას", „მერანის", „მაკაბის" და გერმანიის „ბორდოს" რიგებში.

**— მოსკოვიდან წამოსვლის მიზეზზე რას გვეტყოდი?**

— ჯარში გამიწვიეს. რუსებმა თავის მხრივ შემომთავაზეს, რომ თუ მოსკოვის ოლქში მოვხვდებოდი, ცსკაში მათამაშებდნენ. თბილისში დაბრუნებული რუსეთში აღარ გამიშვეს და ფიზკულტურის ინსტიტუტ[illegible]უნდში დამტოვეს.

**— გერმანიიდან წამოსვლის მიზეზი უთუოდ სხვა იქნებოდა...**

— ნოსტალგია. სულ მარტო, უცხო ქვეყანაში 2 წელი 2 საუკუნედ მომეჩვენა. დამიჯერეთ, დასასვენებლად და ჩემიანების მოსანიყვარულებლად ჩამოვედი. ჩემპიონატის ბოლოს კი რამდენიმე წლით კვლავ უცხოეთში წასვლას ვაპირებ. მეტი შანსია, კვლავ „ბორდოს" დავუბრუნდე. თუ პადერბონში არ გამოვიდა, რომელიმე გუნდს გამოვნახავ, რადგან იქ ნაცნობების საკმაოდ დიდი წრე შევიძინე.

**— საქართველო მენატრებოდაო და გული კვლავ იქით მიგიწევს?**

— უცხოეთისაკენ დიდი კალათბურთი მიზიდავს, თორემ მეგობრებსა და საქართველოს რა დამავიწყებს.

**როლანდ ლაგუჩიძე**

---

## ბაკ უილიამსიც წავიდა

27 იანვარს კალათბურთს გამოეთხოვა ღვაწლმოსილი მოთამაშე ბაკ უილიამსი, ვისაც ამერიკაში ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელად მიიჩნევენ. ყველა დროის უძლიერესობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ახალგაზრდობაში უილიამსი მართლაც მშვენიერი კალათბურთელი იყო. ამჟამად იგი 38 წლისაა და თვლის, რომ თავისი შესაძლებლობები ამოწურა და მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში 17 წელი თამაში შემდეგ დასვენება დაიმსახურა. მისი კალათბურთთან გამოთხოვება იმანაც განაპირობა, რომ გასულ სეზონში მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და კარიერაში პირველი ოპერაციის შემდეგ ველარ მოახერხა ძალების სრულფასოვნად აღდგენა. „თამაში, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემი წასვლის დრო ნამდვილად მოვიდა" — ამბობს უილიამსი.

ბაკ უილიამსს ეს 17 სეზონი ურიგოდ არ გაუტარებია. ნბა-ს კარი მან 1981 წელს შეაღო და 1981-82 წლების სეზონის უძვირფასესი ახალბედა გახდა. უილიამსის თაოსნობით მისი გუნდი — „ნიუ ჯერსი ნეთსი" გათამაშების ცხრილის ფსკერიდან საშუალო გუნდების მარაქაში გაერია, კლუბის ისტორიაში სეზონში ყველაზე მეტი, 44 თამაში მოიგო და პლეი ოფშიც ითამაშა. მომდევნო სეზონში უილიამსმა „ნიუ ჯერსის" პირველად მოაგებინა რეგულარულ სეზონში 49 თამაში. 1983-84 წლების სეზონში კი ამ გუნდმა ასევე პირველად დაძლია პლეი ოფის პირველი ეტაპი გასული სეზონის ჩემპიონ „ფილადელფია 76-ის" გადათელვით. „ნიუ ჯერსიში" რვა წლის ყოფნის შემდეგ ბაკ უილიამსი „პორტლენდში" გადაბარგდა, იქ მშვენიერი ექვსი სეზონი გაატარა და დაეხმარა „ბლეიზერსს" ნბა-ს ფინალში ორჯერ გასულიყო — 1990 და 1992 წლებში. კარიერის ბოლო ორი სეზონი უილიამსმა „ნიუ იორკ ნიქსში" დაჰყო და ამ მესამე გუნდის შემადგენლობაში ყოფნისას გამოეთხოვა კიდეც კალათბურთს.

ამჟამად უილიამსისთვის უმთავრესი საფიქრალი ის არის, რომ ოჯახში მეტი დრო გაატაროს. ამასთანავე იგი დიდების დარბაზში მოხვედრაზეც ოცნებობს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ოლიმპიური დევიზით საიუბილეო თარიღისკენ

**წლევანდელი წელი საიუბილეოა საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობაში — ამ შემოდგომაზე ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს არსებობის ათი წელი უსრულდება. ამიტომაც სეოკ-ის ალმასკომის წლევანდელ პირველ სხდომაზე ამ თარიღთან დაკავშირებით საიუბილეო ღონისძიებებზე საუბარს საკმაო დრო დაეთმო**



ჯანო ბაგრატიონი

— გვინდა, სეოკ-ის დაფუძნების ათი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო თარიღი ისე აღვნიშნოთ, როგორც ეს ჩვენს ქვეყანას, მის მდიდარ სპორტულ ისტორიასა და ტრადიციებს შეეფერება, — გვეუბნება საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი. — მართალია, სეოკ-ის დაფუძნებიდან ათი წელი სრულდება, მაგრამ ჩვენს ქვეყანას გაცილებით მდიდარი ოლიმპიური წარსული აქვს. საქართველოდან ოლიმპიურ თამაშებში 144 სპორტსმენი გამოდიოდა (აქ მხედველობაში არ გვყავს ზამთრის ოლიმპიადების კიდევ 6 მონაწილე). ჩვენს ოლიმპიელთაგან 95-მა მედლები მოიპოვა, მათ შორის 31 ოქროს, 23 ვერცხლისა და 41 ბრინჯაოსი. სამწუხაროდ, აქედან მხოლოდ 2 მედალი მოიპოვეს დამოუკიდებელი საქართველოს წარგზავნილებმა, დანარჩენი — საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ასეა თუ ისე, ოლიმპიური მონაგარით ჩვენზე ტერიტორიულად დიდ და მოსახლეობის რაოდენობითაც რიცხვმრავალ ქვეყნებს ვუსწრებთ.

როცა საქართველოს მდიდარ ოლიმპიურ წარსულზე ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ ჩვენი მკვლევარების ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ქართველები ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობდნენ, თუმცა, არსებობს უტყუარი ცნობები, რომლის მიხედვითაც ჩვენი წინაპრები სხვა ძველბერძნულ თამაშებში ასპარეზობდნენ.

აი, ყოველივე ამის გამო გვსურს ღირსეულად აღვნიშნოთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების ათი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო თარიღი, სადაც მოვიწვევთ რამდენიმე ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების, ევროპის ეოკ-თა და სოკ-ის წარმომადგენლებს. ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ოლიმპიზმის აგიტაცია-პროპაგანდის ჩინებული საშუალება იქნება.

**— მაინც, როგორ წარმოგიდგენიათ საიუბილეო დღეები?**

— ეს დღეები ოქტომბერში გაიმართება. რა თქმა უნდა, ჩატარდება სეოკ-ის საიუბილეო სესია, იქნება საიუბილეო კონცერტი და სხვა მრავალი. სეოკ-ის ალმასკომის სხდომაზე ამ თარიღის აღსანიშნავად 23-პუნქტიანი გეგმა დავამტკიცეთ. ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამიტომ რამდენიმეზე შევჩერდები.

განზრახული გვაქვს ფოტოალბომების, წიგნების გამოცემა პირობითი სათაურით „სეოკ-ი ათი წლისაა“; საქართველოს ტელე-რადიო კორპორაციასთან ერთად გვსურს გადავიღოთ იმავე სახელწოდების ვიდეო და დოკუმენტური ფილმები; კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსთან და სპორტული ოლიმპიური ფილატელიის ასოციაციასთან ერთად გამოვუშვებთ სპეციალურ საფოსტო მარკებს; საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციასთან ერთად მოვაწყობთ ფოტოგამოფენას „სეოკ-ი 10. ისტორია ფოტოებში“; ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეასთან ერთად მოვაწყობთ ნორჩთა ნამუშევრების ექსპოზიციას დევიზით „ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ“; გვსურს მოვაწყოთ აგრეთვე სპორტისა და ოლიმპიზმის თემატიკაზე ფილატელისტური, ნემიზმატიკური და ოლიმპიური ნიშნების გამოფენა.

რა თქმა უნდა, როგორც ასეთ თარილს შეშვენის, დავამზადებთ პირველი და მეორე ხარისხის (ოქროსა და ვერცხლის) სეოკ-ის ნიშნებს, საიუბილეო მედლებს თავისი მოწმობებით, რითაც დავაჯილდოებთ ჩვენს ოლიმპიურ მოძრაობაში თავგამოჩენილ პიროვნებებს; ამას გარდა, სახელმწიფო ჯილდოებზე წარვადგენთ ღირსეულ ადამიანებს...

**— ამ თარიღთან დაკავშირებით, ალბათ, სპორტული პაექრობებიც გაიმართება.**

— სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა. ამგვარ ღონისძიებათაგან, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ სეოკ-ის დაფუძნებიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულიად საქართველოს სპორტული თამაშები, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართება; საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დღის აღსანიშნავ ღონისძიებათა ფარგლებში მოეწყობა ჩვენი ორგანიზაციის იუბილისადმი მიძღვნილი მასობრივი გარბენი საქართველოსა და თურქეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საქართველოს მხრიდან გარბენი ჩატარდება ბათუმიდან სარფამდე, ხოლო თურქეთის მხრიდან — ტრაბზონიდან სარფამდე.

**— საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ღონისძიებების გარდა წლეულს კიდევ რა გეგმები გაქვთ?**

— გეგმებს რა გამოლევს. აქედან უმნიშვნელოვანესია დანიაში ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიური დღეებში გამოსვლა, მისთვის მომზადება. წლევანდელი კალენდრის სიახლე იქნება შავი ზღვის აუზის ქვეყნების I სპორტული თამაშები, რომელიც თურქეთში გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მფარველობით. იქ გამოსვლაზე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან და ჩვენს სპორტულ ფედერაციებთან ერთად უნდა ვიზრუნოთ.

საქართველოს სპეციალურ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად უნდა ჩავატაროთ ინვალიდთა სპორტული ფესტივალი.

**— მაგრამ ყოველივე ეს საკმაო ფინანსურ სახსრებს მოითხოვს, ამასთან, რაც მთავარია, სიდნეის ოლიმპიური თამაშები ცხრა მთას იქით აღარ არის. ახლა ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ოლიმპიურ თამაშებზე [illegible] აუცილებლად სეოკ-ის ალმასკომს აუცილებლად მიაჩნია მიზნობრივი დაფინანსება „სიდნეი-2000“. ამ პრობლემის მოსაგვარებლად თქვენს შტაბ-ბინაში მიიწვიეთ კიდეც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტის სხვა წარმომადგენლები, რომლებსაც ამ საკითხის მოგვარებაში დახმარება ძალუძთ.**

**ამას გარდა, სეოკ-ის სესიამ ამ პრობლემის გადასაჭრელად ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტსაც კი მიმართა, რაც პრესამაც გამოაქვეყნა. საინტერესოა, ყოველივე ამან რა შედეგი მოიტანა?**

— რაიმეს გადაჭრით თქმა შეუძლებელია, რადგან ჯერ საქართველოს ბიუჯეტია მისაღები, მაგრამ, ვფიქრობ, საქმეს კარგი პირი უჩანს. რაც შეეხება ჩვენი დანარჩენი პროგრამების განხორციელების ფინანსურ უზრუნველყოფას, საამისოდ სოკ-ის დახმარების იმედიც გვაქვს და თავადაც უნდა მოვიზიდოთ სახსრები.

საერთოდ, თანხების მოზიდვა ჩვენი მუდმივი პრობლემაა. ამიტომ განვიზრახეთ ისეთი კომერციული სტრუქტურის შექმნა, რომელიც ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას გამოასწორებს. ეს შეიძლება იყოს, ვთქვათ, ოლიმპიკინვესტი ან ფონდი. მართალია, ჩვენ კომერციული საქმიანობის გამოცდილება არ გვაქვს, მაგრამ სეოკ-თან ასეთი თანამშრომლობის, თანადგომისა და დახმარების სურვილი გამოთქვა საინვესტიციო-საფინანსო ჯგუფ აბსოლუტის გამგეობის თავმჯდომარემ გივი თალაკვაძემ, რომელსაც შესაბამისი სპეციალური სტატუსი მივანიჭეთ.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ბატონი გივი თალაკვაძე სპორტში ახალი კაცი არ გახლავთ. იგი თავის დროზე იყო საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე და სპორტს კურირებდა. იგი იყო საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც.

ასე რომ, მისი რჩევა-დარიგება და რეკომენდაციები უთუოდ დიდ სამსახურს გაგვიწევს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**


კოჯი ოსავა (მარცხნივ) და მისი თანმხლებნი სეოკ-ის შტაბ-ბინაში

# ჩვენი ბედი „მიზუნოსა“ და კოჯი ოსავას მარიფათზე ჰკიდია

საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში უცხოელთა ვიზიტები არც ისე იშვიათია, წლევანდელი სტუმრიანობა კი ამომავალი მზის ქვეყნიდან იაპონია — საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტმა კოჯი ოსავამ და მისმა თანხმლებმა ბიზნესმენებმა დაიწყეს. ეს იყო იმ საუბრის გაგრძელება, რომელიც შარშან ნაგანოს ოლიმპიური თამაშების დღეებში ტოკიოში დაიწყეს სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა, გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა და მათმა მასპინძელმა კოჯი ოსავამ.

ახლა იაპონელ სტუმრებთან შეხვედრისას სხვა საკითხებთან ერთად ორი ძირითადი გამოიკვეთა. ამათგან ერთი ითვალისწინებს იაპონელთაგან საქართველოში ძიუდოს განვითარების ხელშეწყობის მრავალწლიან პროგრამას, რომლის განხორციელებაც წინასწარი მონაცემებით 500 ათასი დოლარი დაჯდება.

საუბრის მეორე მთავარი თემა იყო სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს ოლიმპიელთა დელეგაციის მთლიანი ეკიპირება, რაშიც დახმარება სურთ საქვეყნოდ ცნობილი ფირმა „მიზუნოსაგან“. შარშან ამგვარი თხოვნა ჩვენი ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელებმა ტოკიოში გადასცეს ბატონ კოჯი ოსავას, რომელმაც მათ დახმარება აღუთქვა.

ახლა აღმოჩნდა, რომ საქართველო — იაპონიის ასოციაციის პრეზიდენტს ეს თხოვნა გულთან ახლოს მიუტანია და დაკავშირებიან „მიზუნოს“ ხელმძღვანელობას, რომელსაც თავის მხრივ ჩვენი დელეგაციის სპონსორობისთვის მზადყოფნა გამოუთქვამს. „მიზუნოს“ ხელმძღვანელობას დაინ-ტერესებულა იმის სრული [illegible] რასაც ქართული მხარე ითხოვს. [illegible]

**კახა ბერიძე**

# „ოლიმპიზმი“

დაისტამბა ავთანდილ ციბაძისა და დავით კინწურაშვილის წიგნი „ოლიმპიზმი“ — დამხმარე პოპულარული სახელმძღვანელო მოსწავლე ახალგაზრდობისთვის, რომელმაც




გაიმარჯვა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

„ჩვენ შევეცადეთ ოლიმპიური თამაშებისა და ოლიმპიზმის ისტორია შეძლებისდაგვარად მისაწვდომი და საინტერესო ფაქტების გამოყენებით მოგვეთხრო თქვენთვის. გვერწმუნეთ, მისი გაცნობა დაგეხმარებათ როგორც საერთო ინტელექტუალური დონის ამაღლებაში, ისე პირადი ჰარმონიული აღზრდისათვის საჭირო გზების გამოძებნაში“, — ვკითხულობთ წიგნის ავტორთა წინათქმაში.

უხვად ილუსტრირებულ წიგნის (რედაქტორი პროფესორი ომარ გოგიაშვილი, მხატვარი კოტე ღლონტი) შინაარსი დაყოფილია თავებად და დამატებებად.

ხუთი თავი, როგორც ხუთი რგოლი, აერთიანებს ასეთ შინაარს:

„ანტიკური საკვირველებანი“, „მკვდრეთით აღმდგარი ფენიქსი“, „ოლიმპიზმი საქართველოში“, „რას მოგვითხრობს ოლიმპიური ქარტია“, „სამართლიანი თამაშების (FAIR PLAY) გმირები საქართველოდან“.

ყოველ თავს დართული აქვს საკონტროლო კითხვები.

დამატებანში ვეცნობით: „ოდა სპორტს“, ოლიმპიურ მოზაიკას, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ფინანსების წყაროებს, საქართველოს წარგზავნილების შედეგებს ოლიმპიურ თამაშებში, მონაცემებს ოლიმპიური თამაშების შესახებ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებულ საერთაშორისო ორგანიზაციების სიას, ქართული ლიტერატურის ნუსხას ოლიმპიზმის შესახებ.

# ოლიმპიური კალენდარი

ახალი წლიდან საქართველოში ბევრი ოჯახი სარგებლობს ილუსტრირებული „ოლიმპიური კალენდრით“, რაც სიახლეა ჩვენს ქვეყანაში ამგვარ გამოცემათა პრაქტიკაში. ტრადიციული ასტრონომიული მონაცემების გარდა მკითხველი მოკლედ და კონკრეტულად ეცნობა ოლიმპიზმის ისტორიას, ოლიმპიურ მოძრაობაში გამორჩენილ პიროვნებათა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ქართველ ოლიმპიელთა მიღწევებს, ნაირგვარ სტატისტიკურ მონაცემებს.

ეს კალენდარი უთუოდ ხელს შეუწყობს ოლიმპიზმისა და საერთოდ სპორტის პროპაგანდას საქართველოში.

რაგბი

# წააგეს, მეოთხედაც წააგეს!

სიმართლე გითხრათ, ველოდით კიდეც ბორჯღალოსნები უელსის თასის გათამაშების მეოთხე მატჩშიც რომ დამარცხდებოდნენ, მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც — 69:7. ქართველთა მძლეველი ამჯერად „პონტიპრიდი“ იყო. თანაბარ ბრძოლამ მხოლოდ საწყის თხუთმეტ წუთს გასტანა, მერე კი მასპინძლებმა იძალეს და რა დღეც დაგვაწიეს, ანგარიშიდან ჩანს. ჩვენი მორაგბეების ერთადერთი ლელოც, რომელიც ხეხელაშვილის ანგარიშზეა, უფრო მასპინძელთა უკანახაზელების დამსახურებაა, ვიდრე ქართველთა.

საქართველოს ნაკრები შინ 2 თებერვალს დაბრუნდება და ერთი კვირის შემდეგ ტონგელებთან დასაპირისპირებლად დაიწყებს მზადებას.

**პაატა თოთაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ არის ეს კაცი?

**მელბურნში მიმდინარე ავსტრალიის ღია პირველობაზე გადამწყვეტი მატჩების დრო დადგა: გუშინ აქ ქალების ორივე და ერთიც კაცების ფინალისტის ვინაობა გაირკვა სენსაციების გარეშე კი, რა თქმა უნდა, არც ამ დღეს ჩაუვლია**



ლინდსი დევენპორტი

**ნახევარფინალი. ქალები. ამელი მორესმო (საფრანგეთი) — ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) 4:6, 7:5, 7:5.**

მსოფლიოს პირველ ჩოგან ლინდსი დევენპორტს ძალ-ღონით ვერ გააკვირვებ — 1,88 მეტრიანი ამერიკელი თითქმის 80 კილოგრამს იწონის, თანაც ბურთს ისეთი სისწრაფით ურტყამს, ბევრი მოწოდებისთვის ინატრებს. მაგრამ 19 წლის ფრანგ ამელი მორესმოსთან შეხვედრაში ისიც კი არ უჯერებდა საკუთარ თვალებს და თავში მხოლოდ სათაურში მოხსენიებული კითხვა მოსდიოდა.

„რამდენჯერმე ისიც ვიფიქრე, კაცს ვეთამაშები-მეთქი, გოგო ისეთი ძალით ურტყამდა ბურთს, ბადის მეორე მხარეს ვიყურებოდი, რა ხდება-მეთქი. ღმერთო ჩემო, არა, ეს ქალების ჩოგბურთი არ იყო — აღნიშნა მატჩის შემდეგ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა — მის მხრებზე შეხედვა ლამის მაშინებდა, არ ვიცი, შეიძლება ლიპები უკეთია, მაგრამ უზარმაზარი მეჩვენებოდა“.

კაცი შეიძლება მართლაც დააბნიოს მორესმოს გარეგნობამ, რომელშიც ქალისა თითქმის მხოლოდ ქერა, გრძელი თმებია შერჩენილი. სხვაფრივ ოთხკუთხედ ყბას, კუნთებით დაბერილი მხრებსა და მოჭიდავის მიხვრა-მოხვრას სუსტის სქესისა არაფერი სცხია — ამელი დღეში რამდენიმე საათს ტრენაჟორებთან ატარებს.

თუ ფრანგის სექსუალური ორიენტაციის შესახებ რაიმე ეჭვებიც გაგიჩნდათ, სავსებით მართალი აღმოჩნდებით: მორესმოს მელბურნში მწვრთნელთან და ოჯახის წევრებთან ერთად გელფრენდიც ახლავს თან, რომელსაც სატელევიზიო კამერები არცთუ იშვიათად უჩვენებენ.

თუმცა მარტინა ნავრატილოვას ალიკვალად მორესმოს მაინც ვერ მიიჩნევ — ლეგენდარული ამერიკელისგან განსხვავებით, ბადესთან ხშირი გასვლები მას სრულებითაც არ იზიდავს.

მართალი არც ის იქნება, რომ ვთქვათ, მსოფლიოს პირველ ჩოგანს ფრანგმა მხოლოდ ძალის ხარჯზე აჯობაო: 1996 წლის მსოფლიოს საუკეთესო იუნიორი გოგო (?) მძლავრ დარტყმებზე არანაკლებ მოჭრილ, კიდეებისკენ მიმართულ ბექჰენდ-ფორჰენდებს იყენებდა და დევენპორტის მთავარი სისუსტის — ნელი მოძრაობის ხარჯზე უამრავ ქულასაც ითვლიდა.

გადამწყვეტ პარტიაში ინიციატივას ჯერ ამერიკელი ფლობდა — 2:0, 4:2, მაგრამ დაუღლელი ფრანგის რამდენიმე ეისსა და ზუსტ მიღებებს ზედიზედ მოგებული სამი გეიმი, მატჩპოინტზე კი ბადესთან გასული პირველად განთესილის შესანიშნავად გაბრიყვება მოჰყვა.

„ყოველთვის, როდესაც რაიმე შანსი მიჩნდებოდა, კარს თითქოს ზედ ცხვირწინ მიკეტავდნენ. იგი აშკარად ძალიან ძლიერი და ნიჭიერი ჩოგბურთელია, თანაც ავტორიტეტების წინ შიშის ნატამალსაც არ გრძნობს“ — აღნიშნა დევენპორტმა მოგვიანებით.

იუნიორების დროს როლან გაროსისა და უიმბლდონის მომგებმა ფრანგმა მელბურნში დევენპორტამდე ორი განთესილი — პატი შნიდერი (8) და დომინიკ ვან რუსტი (12) დაამარცხა, ერთხელ კი, ამერიკელ კორინა მორარიუსთან, მატჩ-პოინტის გადარჩენაც მოუხდა: „მწვრთნელმა მითხრა, მატჩპოინტს გადარჩენილი ჩოგბურთელები ტურნირზე ბევრს აღწევენო და მეც თითქოს დამატებითი თავდაჯერებით ვთამაშობ... ჯერაც ვერ გამიცნობიერებია, რა გავაკეთე, ფინალში ვიასპარეზებ შაბათს და ამაზე მერე დავფიქრდები“.

**მარტინა ჰინგისი (2, შვეიცარია) — მონიკა სელეში (6, აშშ) 6:2, 6:4.**

მონიკა სელეში აქამდე ავსტრალიის ღია პირველობაზე დაუმარცხებელი იყო. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი სულ ოთხჯერ ეწვია მელბურნს — 1991, 92, 93 და 96 წლებში და ოთხივეჯერ ჩემპიონის ტიტულით დატოვა ქალაქი.

ჰინგისთან შეხვედრის წინ დაუმარცხებელი სერია მეტად შთამბეჭდავი, თუმცა თარს რიცხვს — 33 მატჩს მოიცავდა.

მეოთხედფინალში გრაფთან შეხვედრის არ იყოს, მონიკამ ისევ ცუდად დაიწყო, თავისი პირველივე მოწოდება დაკარგა და 0:3-ითაც ჩამორჩა, თუმცა თავის დაძვრენა ამჯერად ველარ მოახერხა — ჰინგისი თითქმის უშეცდომოდ ირჯებოდა და ხშირად ისეთ ბურთებსაც უსწრებდა, ზოგიერთი დაწევასაც რომ არ ეცდებოდა.

25 წუთიანი პირველი სეტისგან განსხვავებით, მეორემ უფრო დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. სელეში ერთხანს ბრეიკითაც კი იყო წინ, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო — მარტინას სისწრაფით დაშინებული ამერიკელი იძულებული იყო, ლამის ყველა დარტყმა გვერდითი ხაზებისთვის დაემიზნებინა, რასაც სუფთად მოგებულ ქულაზე მეტად აცილებული მოსდევდა.

„რა თქმა უნდა, ძნელია მარცხთან შერიგება, თანაც ამდენი წლის მერე ცდა არ დამიკლია, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. არა უშავს, ახლა ახალ დაუმარცხებელ სერიას დავიწყებ“ — გული არ გაიტეხა სელეშმა.

18 წლის შვეიცარიელი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ზედიზედ მესამედ გავიდა და ბადის მეორე მხარეს მორესმოს ხილვის შესაძლებლობამ გაახარა კიდეც: „ვერ ვიტყვი, რომ ლინდსის წაგებამ გული დამწყვიტა. იგი ამ ბოლო ხანებში ზედმეტად ძლიერად და თავდაჯერებით თამაშობდა და ვფიქრობ, მასთან ძალიანაც გამიჭირდებოდა. ფინალში ფავორიტად ყოფნა ფსიქოლოგიურადაც უფრო იოლი იქნება ჩემთვის“.

**კაცები. ნახევარფინალი: ტომას ენკვისტი (შვედეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:3, 7:5, 6:1.**

ეკვადორელს არც იმან უშველა, წყვილების მეოთხედფინალში ასპარეზობაზე უარის თქმით ზედმეტი დღე რომ დაისვენა, არც ანა კურნიკოვას გულშემატკივრობამ და არც იმან, პირველ-მეორე-მესამე წრეებში ზედიზედ სამი ენკვისტის თანამემამულე რომ დაემარცხებინა. შვედი ნომერი ოთხი შეუვალი აღმოჩნდა.

„წარმოუდგენელი გრძნობაა, როდესაც დიდი სლემის ტურნირის ფინალი გელის. თავს ისე ვგრძნობ, რომ ახლაც შემიძლია, გავიდე და იქ ვითამაშო, თანაც მნიშვნელობა არა აქვს, მეტოქე ვინ იქნება“ — თავდაჯერებას ენკვისტს ვინ გაუმტყუნებს: იანვარში გამართულ 14 მატჩში მას მხოლოდ მოგებები ერიცხება.

**ავთანდილ სვანიძე**



ტომას ენკვისტი



ანა კურნიკოვა

ᲗᲣ მონიკა სელეშს აბეზარი გულშემატკივრებისგან დასამალად შავი სათვალე და ქუდიც არ შველის, მსოფლიოს პირველ ჩოგან ლინდსი დევენპორტს ყოველგვარი კონსპირაციის გარეშეც კი ვერ სცნობენ.

ორიოდ კვირის წინ სიდნეიში ტურნირის მოგების შემდეგ ამერიკელი თვითმფრინავით მელბურნში აპირებდა გადაფრენას, მაგრამ აეროკომპანიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ჩოგნებით სალონში შესვლის ნება არ მისცა. და ეს მაშინ, როდესაც ლინდსიმ საკუთარი თვალით იხილა, რომ მის მიერ ფინალში დაჯაბნილი მარტინა ჰინგისი ერთი წუთის წინ სრულიად უპრობლემოდ გაატარეს.

„მარტინა ჰინგისს ჩოგნები სჭირდება“ — ასეთი პასუხი მიიღო გაღიზიანებული ქალბატონისგან დევენპორტმა, როდესაც მან აშკარა უსამართლობაზე მიუთითა.

სიტუაცია კიდევ უფრო მაშინ გამწვავდა, დევენპორტის გვერდით მსოფლიოს მესამე ჩოგანი ალექს კორეტხა რომ გამოჩნდა და მანაც უარი მიიღო. თქვენი ჩოგნები ზედმეტად დიდია, თვითმფრინავში ასე ვერ შეგიშვებთო, განუცხადებიათ ჩოგბურთელებისთვის.

„მან არ იცოდა კორეტხა და მე ვინ ვიყავით. ძალიან გავბრაზდი და შეტევაზე გადავედი. იმ ქალბატონს კარგა ხანი გაცხარებული ვეკამათებოდით და კინაღამ დაგვაჯარიმეს კიდეც. ბოლოს და ბოლოს ჩოგნები მაინც შევიტანეთ, მაგრამ ეს იოლი სულაც არ იყო“ — აღნიშნა ლინდსიმ.

* * *

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ დევენპორტს გულზე მოეფინოს, თუ გაიგებს, რომ დაახლოებით მსგავსი ინციდენტი ადრე მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან ბორის ბეკერსაც შეემთხვა.

ერთხელ უიმბლდონზე ასპარეზობისას ამ ტურნირის სამგზის ჩემპიონ გერმანელს მოთამაშის საშვი სასტუმროში დარჩა და ინგლისის კრიკეტის კლუბის მოოქროვილ კარიბჭეში ისე დააპირა შესვლა.

აქედან ხეირიანი არაფერი გამოსულა.

„კი მაგრამ მე ხომ ბორის ბეკერი ვარ“ — პროტესტი განაცხადა განცვიფრებულმა გერმანელმა, როდესაც გაჯიქებულმა დარაჯებმა შიგნით არაფრით შეუშვეს. საქმეს არც შესწრებული მაყურებლების დამოწმებამ უშველა. ბორისს სასწრაფოდ უკან დაბრუნება და საშვის წამოღება მოუხდა, ცენტრალურ კორტზე მისი მატჩის დაწყებამდე ხომ სულ მცირე დროღა რჩებოდა.

* * *

ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ მოულოდნელი ნახევარფინალისტი, ნიკოლას ლაპენტი საჩოგბურთო მიღწევების გარდა სხვა მხრივაც დიდ ინტერესს იწვევს მასმედიის წარმომადგენლებს შორის. უფრო სწორად, ყველას ერთი კითხვა აწუხებს: რა ურთიერთობა აქვს 22 წლის ეკვადორელს რუს ლამაზმან ანა კურნიკოვასთან?

ჭორებს თუ დავუჯერებთ, ისინი ერთმანეთს ხვდებიან.

კაროლ კუჩერასთან „მაუგლის“ ხუთსეტიან შეხვედრაში მეოთხედფინალში სატელევიზიო კამერები არც ერთ მოსახერხებელ წამს არ უშვებდნენ, რომ ლაპენტის „ბანაკში“ მჯდარი 17 წლის რუსი არ ეჩვენებინათ — ანა ნიკოლასის მეწყვილე გუსტავო კუერტენს ესაუბრება, ანა თმებს ისწორებს, ანა ნაყინს შეექცევა.

„ჩვენ დიდი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს და ძალიან ახლო მეგობრები ვართ. გამიხარდა, რომ გუშინ ჩემი მატჩის სანახავად მოვიდა“ — თამაშის წესები დაიცვა ეკვადორელმა.

ლაპენტიმ ისიც თქვა, ანას იმით გადავუხდი, ოთხშაბათს ჰინგისთან ერთად მის წყვილების მატჩს დავესწრებიო. თუმცა მერე სიტყვა გატეხა და ქომაგობას ნახევარფინალური შეხვედრის წინ დასვენება არჩია.

როგორც აღმოჩნდა, კურნიკოვას ეს იოტისოდენადაც არ წყენია: მზის სათვალემორგებული რუსი თავის რჩეულს ენკვისტთან შეხვედრის დროსაც არანაკლებ გულშემატკივრობდა.

* * *

ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲐᲡ უნებლიედ მიღებულ გამომეტყველებას შეიძლება ბევრი სპორტსმენისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, ოღონდ არა მარი პირსისთვის.

„ოუფენის“ 1995 წლის გამარჯვებულს ენის გამოყოფის, თვალების უაზრო ტრიალისა და ტუჩების კვნეტისთვის მშობლიური საფრანგეთის მასმედიისგან წლების მანძილზე ხვდებოდა. ბოლოს კი კრიტიკის ქარცეცხლმა იმდენად შეაწუხა, გადაწყვიტა, ყველაფრისთვის სერიოზულად მიეხედა.

„ჩემი მატჩების ვიდეოჩანაწერები წინ დავიდე და რამდენიმე საათს ვუყურებდი, თანაც სიცილით ვკვდებოდი — განუცხადა ჟურნალისტებს პირსმა — „მავნე“ ჩვევების აღმოსაფხვრელად გვარიანი ძალისხმევა დამჭირდა. დასაწყისში ძალიან ძნელი იყო, მაგრამ დიდი კონცენტრაციის შემდეგ პროგრესს მივაღწიე. თუმცა ამით კინაღამ რამდენიმე მატჩი წავაგე“.

* * *

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 65-ე ჩოგანმა მარია ანტონია სანჩეს ლორენსომ მშობლები ნაადრევი ზარით მაშინ გააკვირვა, მათი ქალიშვილი მესამედ განთესილ იანა ნოვოტნასთან შუაგულ თამაშში რომ ეგულებოდათ.

სანჩეს ლორენსომ ნოვოტნა 50 წუთში, 6:3, 6:0 გაანადგურა და მატჩის დასრულებისთანავე მოულოდნელი სიახლის თავისიანებისთვის საცნობებლად გაეშურა.

„რატომ რეკავ? აბა, ასე იოლად არ წავაგებო? თუ რაიმე ტრავმა მიიღე?“ — შეიცხადა ჩოგბურთელის დედამ, თავადაც მარია ანტონიამ.

„არა, დე, მოვიგე“ — თუმცა მშობლების დარწმუნებას კიდევ კარგა ხანი დასჭირდა.

# ციციაშვილს ძალა საქართველომ გაატანა

## გოჩა ვალს კაცურად ისტუმრებს

საქართველოდან ისრაელში ასულ გოჩა ციციაშვილს ჩვენი შეჭირვებული მოჭიდავეებისთვის არაერთხელ გაუწვდია ძმური დახმარების ხელი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ისრაელში შეკრებაზეც მიუწვევია, იქ ჩასულებისთვის კი თანადგომა, ყურადღება, პატივისცემა, სითბო და სიყვარული არ დაუკლია. გოჩა 21 წლამდე თბილისში, ავლაბარში იზრდებოდა, მერე კი ისრაელში წავიდა.

ახლახან გოჩა თბილისს ეწვია და მშობლების მოსანახულებლად. დროს უქმად არც აქ კარგავდა და ფალავანთა კლუბში დღეში ორჯერაც ვარჯიშობს სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად. ჩვენი საუბარიც იქ შედგა



**— თქვენი პირველი სპორტული ნაბიჯების გახსენებით დავიწყოთ. რატომ აირჩიეთ ჭიდაობა — ოჯახური ტრადიცია იყო თუ?..**

— ვარჯიში 13 წლისამ, 1986 წელს დავიწყე ფალავანთა კლუბში მწვრთნელ ოთარ ტატიშვილთან. რაც შეეხება სპორტით დაინტერესებას, გარკვეულწილად ეს ოჯახურმა ტრადიციამაც განაპირობა — მამაჩემი ფეხბურთს თამაშობდა, ჩემი ჭიდაობაზე მოსვლა კი უფრო ბაბუაჩემის დამსახურებაა, რომელსაც ძალიან უყვარდა სპორტის ეს სახეობა.

**— ისრაელში როგორ მოხვდით?**

— 1993 წელს საბერძნეთში, ახალგაზრდულ მსოფლიოს პირველობაზე მესამე ადგილი დავიკავე. სწორედ იქ მოვიდა ჩემთან ისრაელის ნაკრების მწვრთნელი და მათთან გადასვლა შემომთავაზა. იმხანად ახალგაზრდებში გამოსვლას ვამთავრებდი და საუბარი, ბუნებრივია, ისრაელის ეროვნულ გუნდს შეეხებოდა. კარგად მოგეხსენებათ, რა მდგომარეობა იყო მაშინ საქართველოში და მეც დავთანხმდი, ექვს თვეში კი ევროპის ვიცე-ჩემპიონიც გავხდი.

**— ძალიან მალე გიყოჩაღიათ. ნუთუ ისრაელში წვრთნამ ასე უცებ მოგაღონიერათ?**

— ისრაელის ფაქტორი აქ არაფერ შუაშია. სერიოზული საფუძვლის გარეშე ექვს თვეში ამხელა წარმატებას ვერანაირი ვარჯიშით ვერ მიაღწევ. საამისოდ მომზადებული მე აქედან წავედი. ეს მთლიანად ოთარ ტატიშვილის და ამ დარბაზის დამსახურებაა.

**— ისრაელში სად ცხოვრობთ, რომელ კლუბში ვარჯიშობთ?**

— ვვარჯიშობ ბერ შევას კლუბში, ვცხოვრობ აშდოდში. ჩემი კლუბი ძალიან მომწონს და ამიტომ სხვაგან წასვლას არც ვფიქრობ მიუხედავად მრავალი წინადადებისა. კლუბში ყოველნაირად მოწესრიგებული და ნორმალური ვითარებაა.

**— ამ ბოლო ხანს ისრაელის ნაკრებიც ანგარიშგასაწევი ძალაა.**

— ნაკრები მთლიანად ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული და ეს მათი დამსახურებაა. მისი თითქმის ყველა წევრი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდანაა ჩასული ისრაელში. ეს გუნდსაც დაეტყო. ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის გუნდურ პირველობაზე ჩვენ ვაჯობეთ საქართველოს, უკრაინას, ბელარუსს, გერმანიას...

**— ნაკრებში დიდ კონკურენციას აწყდებით?**

— ჩემს წონაში — 85 კილოში ჩემი ცოლისძმა გენრი პაპიაშვილი გამოდის. იგი შარშან მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებში. ჭიდაობა მე დავაწყებინე ოთარ ტატიშვილთან და მერეც მოჭიდავედ ჩემს ხელში გაიზარდა, მაგრამ არც მისი მეშინია და არც სხვისი.

**— ხომ არ ნანობთ, რომ გენრის ამდენი ასწავლეთ?**

— არა, პირიქით. მისი ყველა წარმატება ძალიან მახარებს.

**— ქართველების წინააღმდეგ ჭიდაობა, ალბათ, გეძნელებათ?**

— ეს მართლაც მძიმე მომენტია. არადა, მათ ხშირად შევხვედრივარ — ჯერ მუხრან ვახტანგაძეს, ახლა კი ემზარ მახარაძეს. ისინი ჩემი მეგობრები არიან, მაგრამ სპორტი სპორტია და ხალიჩაზე ხშირად მათზე უფრო ახლო მეგობრებსაც შევხვედრივარ. პროფესიული სპორტის დაუწერელი კანონი დათმობას არ გაპატიებს.

**— გოჩა, საქართველოს ნაკრებს ხშირად ეხმარებით...**

— მე ამას ჩემს მოვალეობად ვთვლი. საქართველო ჩემთვის უპირველესია. როცა საშუალება მაქვს, ყოველთვის სიამოვნებით ჩამოვდივარ. რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია ჩემს თანამემამულეებთან ურთიერთობა. რაც შემეძლება, სამომავლოდაც ყველაფერს გავაკეთებ მათთვის.

**— საქართველოში დაბრუნებას ხომ არ აპირებთ?**

— ამაზე მუდამ ვფიქრობ. გამორიცხული არაა, მართლაც დავბრუნდე. ეს დამოკიდებულია აქაურ პირობებზე. ამ ეტაპზე ცოტა თავს ვიკავებ, რადგან ისრაელში ყველაფერი კარგად ავაწყე და ასეთ დროს, ხომ იცით, ცოტა ძნელია ყველაფრის არევა და თავიდან დაწყება.

**— სპორტის გარდა სხვა საქმიანობითაც ხომ არ ხართ დაკავებული?**

— უმეტესად სპორტში ვსაქმიანობ. ბიზნესში უშუალოდ არ ვერევი, თუმცა გარკვეული წილი კი მაქვს, რომელსაც ჩემი ძმა აკონტროლებს.

**— წლეულს მსოფლიო რეიტინგით წონის ლიდერი გახდით. ელოდით ასეთ მიღწევას?**

— მოულოდნელიც არაა. ისე კი, ბოლო მსოფლიოს პირველობაზე მართლაც კარგად მომზადებული ჩავედი და ჩემპიონობასაც ველოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეჯგუფის ფინალში თითქმის მოგებული ბრძოლა წავაგე რუს მენშიკოვთან, რომელმაც ფინალი იოლად მოიგო.

**— სამომავლო გეგმები?**

— უმთავრესი მაინც ოლიმპიადაა, რომლისთვისაც გამალებით ვემზადები. რა თქმა უნდა, უმნიშვნელო არც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებია, მაგრამ ოლიმპიადა მაინც ყველაზე მთავარია

**— თქვენს ოჯახზეც გვითხარით.**

— ჩემი და გენრის შემხედვარე, ლამისაა ჩემმა ცოლმაც ვარჯიში დაიწყოს. მყავს ერთი შვილი — 7 წლის ბიჭი, რომელსაც მამაჩემის სახელი — ვაჟა დავარქვით. ალბათ მასაც მოჭიდავედ გავზრდი, რადგან ეს მამაჩემის დიდი სურვილია.

**ირაკლი თავაძე**

ჰოკეი

# ბურემ შინ დაისვენა

სტუმრად სამი მატჩის შემდეგ ფლორიდა შინ დაბრუნდა და მისმა გულშემატკივრებმა, როგორც იქნა, იხილეს პაველ ბურე, რომლის საშინაო დებიუტიც იღბლიანი გამოდგა. მართალია, „რუსულმა რაკეტამ" ამჯერად ვერ გაიტანა, მაგრამ სწორედ მისი პასის შემდეგ გაიტანეს „პანტერებმა" გადამწყვეტი გოლი

REUTERS ფლორიდიდან



მონრეალელი სტეფან კინტალი ფლორიდელთა მეკარე კირკ მაკლინს „სახლში" შეუვარდა

27 იანვარი

**ფლორიდა — მონრეალი 2:1**

**0:0 0:0 2:1**

**0:1 ბრისბუა 40'50 (2); 1:1 პერიში 44'18 (12); 2:1 კვაშა 46'18 (8)**

სულ ათი დღე დასჭირდა პაველ ბურეს, რათა მეამბოხისგან ფლორიდის გულშემატკივართა კერპად ქცეულიყო. მის დებიუტს „რენტალ სენტრში" სარეკორდო — 19 250 მაყურებელი დაესწრო და მიუხედავად იმისა, რომ ბურე ფილადელფიაში ერთი დღით ადრე ურთულესი მატჩის შემდეგ ოდნავ დაღლილი ჩანდა, მაინც მთავარი მოქმედი პირი გახდა. გარდა მესამე პერიოდში გაკეთებული პასისა, „რუსულ რაკეტას" თავადაც შეეძლო, გაეტანა. ერთხელ მისი დარტყმა ძელმა მოიგერია, ხოლო მეორედ, მატჩის მიწურულს, სტუმართა მეკარე ჯეფ ჰეკეტმა გააკეთა ის, რაც მანამდე სამმა ცნობილმა მეკარემ ვერ შეძლო — მასთან პირისპირ გასულ ბურესთან დუელში იმარჯვა. მატჩის შემდეგ ბურე, რომლის სახელსაც ფლორიდელი ქომაგები წარმატებებს უკავშირებენ, კმაყოფილი ჩანდა — ყველა შეხვედრაში გოლს ვერ გაიტან, მთავარია, მოვიგეთ.

**ანაჰაიმი — კოლორადო 3:4**

**2:1 0:1 1:2**

**1:0 რუჩინი 2'34 (15); 2:0 სელიანე 11'20 (22); 2:1 კამენსკი 19'59 (10); 2:2 ფორსბერგი 36'12 (14); 2:3 დევრიზი 43'15 (1); 2:4 საკიკი 45'55 (21); 3:4 რუჩინი 56'13 (16)**

კოლორადოს მწვრთნელ ბობ ჰარტლის ექსპერიმენტმა გაამართლა. ერთ სამეულში გაერთიანებული ჯო საკიკისა და პეტერ ფორსბერგის (შეგახსენებთ, რომ შვედი ცენტრფორვარდი მისთვის უჩვეულო — გარემარბის პოზიციაზე თამაშობს) წყვილი ერთობ შედეგიანია. უკვე მეექვსე თამაშია, კოლორადოს არ წაუგია. საკიკმა (1+1) ბოლო სამ მატჩში მეხუთედ გაიტანა, ხოლო ფორსბერგმა 3 (1+2) ქულა დააგროვა. ანაჰაიმის რიგებში, როგორც ყოველთვის, სელიანე (1+2) — რუჩინი (2+0) — კარიას (0+1) სუპერტრიო გამოირჩა.

**ედმონტონი — ჩიკაგო 3:4**

**0:2 2:1 1:0 0:1**

**0:1 ემერსონი 3'32 (11); 0:2 ოლჩიკი 14'08 (4); 0:3 ამონტე 24'34 (25); 1:3 ნიინიმა 30'16 (1); 2:3 ფალუნი 39'07 (12); 3:3 სმიტი 53'20 (6); 3:4 ამონტე 64'52 (26)**

სტუმრებს გაცილებით იოლად შეეძლოთ მოგება, მაგრამ ძირითად დროში სამშაიბიანი უპირატესობა გაანიავეს და ოვერტაიმის დამთავრებამდე 8 წამით (!) ადრე ტონი ამონტემ (3 პასი) იხსნა ჩიკაგოელები. მან დუგ გილმორის უზუსტესი პასი გამოიყენა და თანაკლუბელებს გამარჯვება მოუტანა.

**დალასი — ლოს ანჯელესი 3:2**

**1:1 0:0 2:1**

**1:0 ჰალი 3'34 (17); 1:1 რობიტაილი 17'12 (26); 2:1 სკრუდლანდი 41'18 (4); 3:1 ნუინდაიკი 48'35 (10); 3:2 რობიტაილი 55'14 (27)**

ჯო ნუინდაიკი ხუთი მატჩის გაცდენის შემდეგ პირველად გამოჩნდა ყინულზე და იღბლიანადაც. კლუბის მწვრთნელ კენ ჰიჩკოკის თქმით, დალასელთა ერთ-ერთმა ლიდერმა სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა და 49-ე წუთზე გატანილი მისი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ლოს ანჯელესს კვლავ დაუშავდა წამყვანი მეკარე სტეფან ფისე.



ალექსანდრ დეიგლი

# არავის გინდათ დეიგლი?

1993 წლის 30 ივნისს ალექსანდრ დეიგლზე ბედნიერი ჰოკეისტი ამქვეყნად, ალბათ, არავინ მოიძებნებოდა. ნიჭიერი ახალგაზრდა დრაფტის პირველ ნომრად აირჩიეს და ყველას სჯეროდა, რომ იგი ღირსეულად გააგრძელებდა მარიო ლემიესა და უეინ გრეცკის ტრადიციებს. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ხუთნახევარი წლის მერე დეიგლი არავის დასჭირდებოდა. ბოლო ორი სეზონი ისე გაილია, ფორვარდმა ვერა და ვერ გაუმართლა ფილადელფიის გენერალურ მენეჯერ ბობი კლარკს და „ALL STAR GAME"-ით გამოწვეული შესვენების დროს იგი ედმონტონში ანდრეი კოვალენკოზე გაცვალეს. თითქოს საგანგაშო არაფერი მომხდარა, განა ასე არ არის ხოლმე — ახალ გუნდში ჰოკეისტი ხშირად ხელახლა იხსნება და საუცხოოდ თამაშობს. მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ „მენავთობეებმა" თავდამსხმელს მხოლოდ 1-წლიანი და 1-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზეს, რამაც ჯერაც პატივმოყვარე ახალგაზრდა შეურაცხყო და მან გაცვლაზე უარი განაცხადა. რატომ არ არის დეიგლი თანახმა?

საქმე ისაა, რომ ფილადელფიაში სეზონის ბოლომდე რომ ეთამაშა, ჰოკეისტი 1,9 მილიონ დოლარს მიიღებდა, ამიტომაც არ სურს ახალ გუნდში გადასვლა. ისე, როცა დეიგლის გაცვლის საკითხი პირველად წამოიჭრა, ბობი კლარკმა ჟურნალისტებს უთხრა: „განა არ მინდა მისი გაყიდვა, მაგრამ არავინ ყიდულობს".

ერთი სიტყვით, ნიჭიერი ფორვარდის ცხოვრებაში მარცხიანი დღეები დაიწყო, რასაც პირადი პრობლემებიც ემატება — ახლახან დეიგლი ცნობილ მსახიობ პამელა ანდერსონს დაშორდა.

**სამველ ღარიბიანი**

## სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ტორონტო | 46 | 27 | 3 | 16 | 152:133 | 57 |
| ოტავა | 46 | 25 | 6 | 15 | 134:105 | 56 |
| ბუფალო | 44 | 23 | 8 | 13 | 120:87 | 54 |
| ბოსტონი | 44 | 20 | 7 | 17 | 117:101 | 47 |
| მონრეალი | 48 | 18 | 8 | 22 | 109:123 | 44 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 46 | 21 | 7 | 18 | 121:115 | 49 |
| ფლორიდა | 46 | 18 | 12 | 16 | 115:119 | 48 |
| ვაშინგტონი | 44 | 16 | 4 | 24 | 101:117 | 36 |
| ტამპა | 46 | 11 | 4 | 31 | 95:156 | 26 |
| **ატლანტა** | | | | | | |
| ფილადელფია | 45 | 24 | 11 | 10 | 138:90 | 59 |
| ნიუ ჯერსი | 45 | 26 | 5 | 14 | 133:118 | 57 |
| პიტსბურგი | 42 | 20 | 7 | 15 | 125:118 | 47 |
| რეინჯერსი | 46 | 18 | 7 | 21 | 121:125 | 43 |
| აილენდერსი | 47 | 15 | 3 | 29 | 110:137 | 33 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 47 | 24 | 3 | 20 | 139:123 | 51 |
| სენტ ლუისი | 43 | 17 | 9 | 17 | 114:108 | 43 |
| ნეშვილი | 46 | 16 | 4 | 26 | 105:147 | 36 |
| ჩიკაგო | 46 | 14 | 7 | 25 | 101:141 | 35 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 44 | 28 | 7 | 9 | 130:91 | 63 |
| ფინიქსი | 42 | 24 | 8 | 11 | 114:88 | 56 |
| ანაჰაიმი | 46 | 17 | 9 | 20 | 116:112 | 43 |
| სან ხოსე | 46 | 15 | 12 | 19 | 105:109 | 42 |
| ლოს ანჯელესი | 46 | 16 | 4 | 26 | 108:124 | 36 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 46 | 23 | 4 | 19 | 118:116 | 50 |
| ედმონტონი | 45 | 18 | 7 | 20 | 129:120 | 43 |
| ვანკუვერი | 45 | 15 | 6 | 24 | 115:135 | 36 |
| კალგარი | 46 | 15 | 4 | 27 | 112:139 | 34 |

*ბომბარდირები: კარია (ანაჰაიმი) 62 (20+42); ლინდროსი (ფილადელფია) 60 (26+34); იაგრი (პიტსბურგი) 59 (17+42); ლეკლერი (ფილადელფია) 56 (27+29); ფორსბერგი (კოლორადო) 55 (14+41); სელიანე (ანაჰაიმი) 54 (23+31); იაშინი (ოტავა) 53 (20+33); საკიკი (კოლორადო) 48 (21+27); სტრაკა (პიტსბურგი) და ფლერი (კალგარი) 47 (21+26); აიზერმანი (დეტროიტი) 47 (19+28); ბრინდამორი (ფილადელფია) 47 (17+30); სუნდინი (ტორონტო) 47 (16+31); მოდანო (დალასი) 47 (15+32)*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული განგებიანი

ეს კაცი ესპანელი მოსამართლე ბალტაზარ გარსონი გახლავთ. უფალი გარსონი ის კაცია გასული წლის ოქტომბერში ჩილელი დიქტატორყოფილის, აუგუსტო პინოჩეტის დაპატიმრების ორდერი რომ გასცა. როგორც ხედავთ ბატონი მოსამართლე მხოლოდ დასჯასა და მოწყალების გაღებას არ სჯერდება. გუშინ მან ბარსელონას ცნობილ „კამპ ნოუნზე“ საქველმოქმედო შეხვედრაში ითამაშა და აგერ, პენალტიც მოიგერია.



REUTERS

# იქნებ ზეჩემპიონადაც ეკურთხოს

მიკადოს ქვეშევრდომ საზოგადოებრიობას ახალი გმირი გამოუჩნდა, როგორც ყველა გმირი, ესეც გოლიათია, ანუ იმგვარ წმინდა ჭიდაობას მისდევს, როგორიცაა სუმო. გმირის სახელია ჩიოტაიკაი (ფოტოზე უკან).

დიახ, ეს სწორედ ის ჩიოტაიკაია, გასულ კვირას რომ ორჯერ დასცა დიადი იოკოძუნა (ზეჩემპიონი) ვაკანოჰანა და სეზონის პირველი დიდი შეჯიბრი მოიგო მთელს ქვეყანაში.

იაპონიის სამეფოში იქმნება ჩიოტაიკაის ერთგულთა კლუბები, მზეურდება ახალი გმირის ბიოგრაფია და ხალხიც ტაშსა სცემს. დედინაცვალ მიეს გაზრდილი ჩიოტაიკაი — ერობაში რიუჯი ჰიროშიმა — ოცდაორი წლის წინათ დაბადებულა ჰოკაიდოზე, მაგრამ შემდგომ, დაქვრივებული დედინაცვალი კიუსიუზე გადაბარგებულა. სუმოში გზა გაუკვალავს მავან კოკონოეს შეგირდობითა და რაღა თქმა უნდა, ნიჭით.

მშობლიურ ქალაქ ოიტაში მას აქამდეც კარგად იცნობდნენ, ახლა კი იაპონიაშიც გაუვარდა სახელი და ყმაწვილთათვის სამაგალითოდაც გამოდგება. ოცდაორი წლისამ უკვე ასეთი მთაკაცი წააქცია.

ჩიოტაიკაი წონასაც არ უჩივის — მისი მთელი მოყვანილობა 159 კილოგრამს შეადგენს.



REUTERS ლონდონიდან

# ხუთი კაპიტანი

„ხუთ ერს“, აბა, რაღა რეკლამა სჭირდება, მაგრამ ფული, ხომ იცით...

ფულის გულისთვის იყო, ამ ტურნირის მონაწილე ხუთივე გუნდის კაპიტნები ლონდონში რომ შეიკრიბნენ და სარეკლამო კამპანიაც გააჩაღეს. შედეგად თითოეულ გუნდს 27-27 ათასი გირვანქა ერგო. კაპიტანთა ლონდონში შეყრა იმიტომ მოხდა, რომ ინგლისის ხუთ ერში დაბრუნება აღენიშნათ. ფოტოზე ის ეპიზოდია აღბეჭდილი, სკოტი ბრაიან რედპასი, ირლანდიელი პედი ჯონსი, „მამალი“ რაფაელ იბანესი, ალბიონელი ლოურენს დალალიო და უელსელი რობ ჰოული BBC-სთვის რომ პოზიორობენ.

REUTERS პრაღიდან



# ოქრო მაინც რუსებს დარჩათ

პრაღაში ფიგურულად მოსრიალეთა ევროპის ჩემპიონატზე სპორტულ წყვილებში ჩემპიონები გამოვლინდნენ, ანტონ სიხარულიძისა და ელენა ბერეჟნაიას არყოფნით ასევე რუსულმა, მარია პეტროვა-ალექსეი ტიხონოვის (ფოტოზე) დუეტმა იხეირა და ოქროს მედლებიც ირგუნა. მეორე ადგილზე პოლონელების — დოროთა ზაგორსკასა და მარიუშ სიუდეკის წყვილი გავიდა, მესამეზე — ფრანგები — სარა აბიტბოლი და სტეფან ბერნადისი.

# მგელი მგლობას არ დაიშლის

იახტა „შუტენ-დორზე“ წამოჭიმული 65 წლის იაპონელი მეზღვაური მინორე საიტო არც რაიმე რეკორდის მოხსნას ზეიმობს და არც გამარჯვებას. მეტიც, მსოფლიოს გარშემო სოლო რბოლის მორიგი ეტაპი კეიპტაუნიდან ოკლენდამდე მან გამარჯვებულზე ორჯერ მეტ დროში — 52 დღეში დაფარა, ოღონდ ამ შემთხვევაში საიტოს არ გაემტყუნება — ხუთ ინფარქტგადატანილი იაპონელი რბოლის ფინიშს, სამხრეთ კაროლინაში მდებარე ჩარლტონს თუ მიატანს, უხუცესი ზღვის მგელიც შეიქნება.





REUTERS


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური ფეხბურთის განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე ინფორმაციის განყოფილება ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29